საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 44 (318) ● შაბათი, 14 მარტი, 1992 წელი. ● ფასი 1 მანეთი.

დესტაბილიზაციის სულისჩამდგმელებმა და ორგანიზატორებმა დროა შეიგნონ, რომ ხელისუფლება საქართველოში დღეს ერთიანი, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია. ხალხის წინააღმდეგ მიმართული ყოველი ქმედება ხალხის ნებითვე აღიკვეთება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

მიმართვა

საქართველოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო!

ამ ბოლო ხანს სასიკეთო ძვრები მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: სამხედრო საბჭომ მოიხსნა უფლებამოსილება და მთელი ძალაუფლება გადასცა სამოქალაქო ხელისუფლებას — სახელმწიფო საბჭოსა და დროებით მთავრობას. საქართველოში მიმდინარეობს დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი: ხორციელდება ძირეული ეკონომიკური რეფორმა, სახელმწიფოს დიქტატისაგან განთავისუფლდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. დამხობილი ხელისუფლების მანკიერმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ საქართველო მსოფლიოში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს მოსწყვიტა და საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია. დღეს საქართველო ამ პროცესებში უშუალოდ ჩაერთო და უკვე იკავებს თავის ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე. მიმდინარეობს მზადება პარლამენტის არჩევნებისათვის, რომლის ნორმალურად ჩატარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ვითარების სტაბილიზაციის გარკვეულ დონეზე მთელი საქართველოს მასშტაბით.

ეტყობა, ასეთი პერსპექტივა ხელს არ აძლევს დამხობილი ანტიდემოკრატიული ხელისუფლების იმ ძალებს, რომლებიც, დაკარგეს რა საკუთარი ხალხის ნდობა და მომავალ არჩევნებში წარმატების იმედი, ყოველნაირად ცდილობენ ვითარების დესტაბილიზაციასა და ძმათამკვლელი შეტაკების გამოწვევას. ტერორისტული აქტები მოსახლეობის წინააღმდეგ, თავდასხმები სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებზე, აგრეთვე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ობიექტებზე სცილდება პოლიტიკური ბრძოლის ყოველგვარ ფარგლებს. ამგვარი ქმედება, არსებითად, წარმოადგენს სისხლისმღვრელ ომს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

კერძოდ, მთელი რიგი ბანდიტური აქციები განხორციელდა ქ. ზუგდიდში და მის მიდამოებში, რის შედეგადაც არის ადამიანთა მსხვერპლი, სადისტურად აწამეს და დახოცეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ქალაქში სუფევს ანარქია და განუკითხაობა, მოსახლეობა სრულიად დაუცველია ტერორისტების ძალადობისაგან, მოწყვეტილია ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პოზიტიური პროცესების შესახებ.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ზუგდიდის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სურს მშვიდობა და წინააღმდეგია ძმათაშორის სისხლისღვრისა. საქართველოს სახელმწიფო საბჭო ორივე მხარეს დაღუპულთა ჭირისუფლად თვლის თავს და ყოველ ღონეს იხმარს რეგიონში მშვიდობიანობის აღსადგენად.

არც ის წარმოადგენს ვინმესთვის საიდუმლოს, თუ საიდან და ვინ წარმართავს ამ აქციებს — საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქ. გროზნოში თავი მოიყარა ხალხის მიერ დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მცირე ჯგუფმა. ისინი ცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ დემოკრატიის დამკვიდრებას და გაძლიერებას საქართველოში, გეგმავენ და ნაწილობრივ ახორციელებენ კიდეც დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, სახელს უტეხენ საქართველოს საერთაშორისო საზოგადოების თვალში და მათთვის ჩვეული დეზინფორმაციით, ძალადობითა და უზნეობით შეცდომაში შეჰყავთ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ამით მათ სურთ ქვეყანა აცილონ იმ მაგისტრალურ გზას, რომელიც კუთვნილ ადგილს დაგვიმკვიდრებს დემოკრატიულ, ეკონომიკურად მძლავრ, ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის.

როდესაც სახალხო-დემოკრატიულმა აჯანყებამ დაამხო სიტყვით ეროვნული, საქმით კი ანტიეროვნული ავტორიტარული რეჟიმი, ახალმა ხელისუფლებამ საყოველთაო შერიგებისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა კონფლიქტის ყველა მონაწილეს. სამწუხაროდ, დამხობილი ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა ასეთი შემწყნარებლური პოზიცია ახალი ხელისუფლების სისუსტედ აღიქვა და არამცთუ გააგრძელა, გააღრმავა კიდეც თავიანთი ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. მათ მიერ ორგანიზებული დივერსიისა და საბოტაჟის ფაქტები მიზნად ისახავს საქართველო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც გარეშე ძალაზე გახადოს დამოკიდებული. ზოგან სოფლის მოსახლეობას მუქარით აიძულებენ, რომ ხელი აიღოს საგაზაფხულო სამუშაოებზე მოქმედებენ პრინციპით — რაც უარესი, მით უკეთესი.

საქართველოს გარე სამყაროსაგან მოწყვეტის დანაშაულებრივ ქმედებას ისინი კიდევ უფრო აღრმავებენ კუთხური სეპარატიზმის გაღვივებით და საქართველოს ერთიანობის გახლეჩის მცდელობით. ძალაუფლებისაკენ ავადმყოფური ლტოლვისაგან დაბრმავებული ძველი ხელისუფალნი მზად არიან უცხო სამხედრო ძალას შემოუძღვნენ საქართველოში. საამისოდ ნიადაგსაც ამზადებენ: ძველი ხელისუფლების მხარდამჭერთა მიტინგებზე ქრისტიანული საქართველოს სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მკრეხელურად ხელყოფილი პორტრეტების გვერდით გენერალ ჯოხარ დუდაევის სურათებია გამოფენილი.

მაგრამ დესტაბილიზაციის სულისჩამდგმელებმა და ორგანიზატორებმა დროა შეიგნონ, რომ ხელისუფლება საქართველოში დღეს ერთიანი, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია. მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერით იგი არ დაუშვებს კონფლიქტის ახალი კერის წარმოქმნას, არ გადაუხვევს დემოკრატიის, საპარლამენტო არჩევნების, ძირეული ეკონომიკური რეფორმების, საბოლოო ჯამში კი — მოსახლეობის ცხოვრების პირობების თანმიმდევრული გაუმჯობესების კურსიდან.

ხალხის წინააღმდეგ მიმართული ყოველი ქმედება კი ხალხის ნებითვე აღიკვეთება.

ნომერშია:

⊙ საქართველო შევა ჩრდილოატლანტიკურ თანამშრომლობაში თუ იგი ოფიციალურად იქნება აღიარებული. მე-2 გვ.

⊙ სოფელი: გაზაფხულის პირველი ხნული. მე-2 გვ.

⊙ ზუგდიდი: მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს. მე-4 გვ.

⊙ რუსთაველის თეატრი ფინეთის ეროვნული თეატრის სცენაზე. მე-4 გვ.

მშვიდობის მისიით

13 მარტს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრთა დელეგაცია გაემგზავრა ქალაქ ზუგდიდში მოსახლეობასთან შეხვედრისა და დაპირისპირებულ მხარესთან მოსალაპარაკებლად. ამის მიზანია ის, რომ ყველაფერი დამთავრდეს მშვიდობიანად.

საქართველოს ეროვნული შეიარაღებული ძალების სარდლობის

მიმართვა

ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ნაწილებისადმი

თქვენი შეიარაღებული გამოსვლების შედეგად საქართველოში კვლავ დაიღვარა სისხლი, არიან დახოცილები და დაჭრილები, აფეთქებულია ხიდები, ტელეანძები, გადამწვარია სახლები და სასტუმროები, აყრილია რკინიგზა. ამ გამოსვლების შემდგომი გაგრძელება მრავალ უბედურებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას, თუმცა ძალების აშკარა უთანასწორობის გამო მას არავითარი აზრი არა აქვს.

მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ შეიარაღებული წინააღმდეგობა და გაათავისუფლოთ მძევლები. თუ ორი დღის ვადაში არ შესრულდება ჩვენი მოთხოვნა, იძულებული ვიქნებით, რომ გავატაროთ უმკაცრესი ზომები, თქვენი შეიარაღებული გამოსვლების აღკვეთის მიზნით, რომლის შედეგებზეც პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ. ამასთან, ვიძლევით პირადი უსაფრთხოებისა და თქვენთვის პოლიტიკური ბრძოლის შეუზღუდავი შესაძლებლობების სრულ გარანტიას. ხალხის ჭეშმარიტ ნებას დაადასტურებს მომავალი არჩევნები, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით უახლოეს მომავალში უნდა ჩატარდეს.

საქართველოს ეროვნული შეიარაღებული ძალების სარდლობის სახელით

თენგიზ კიტოვანი,
ჯაბა იოსელიანი.

სახელმწიფო საბჭო მუშაობას შეუდგა

11 მარტს გამართული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მისმა თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. მან მადლობა გადაიხადა საქართველოსა და მისი ხალხისათვის ესოდენ პასუხსაგებ პერიოდში გაწეული ნდობისათვის. აღნიშნა, რომ ვდგავართ დიდი გამოცდის წინაშე და კრიზისიდან გამოსვლისათვის საჭიროა ერთიანობა მრწამსის, წარმოდგენებისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. სახელმწიფო საბჭო მუშაობას იწყებს არაორდინარულ პირობებში, და ყოველივე ეს თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

დღის წესრიგის დაზუსტების შემდეგ სიტყვა მიეცა ვახტანგ ხმალაძეს, რომელმაც სხდომის მონაწილეებს გააცნო სახელმწიფო საბჭოს დებულების პროექტი. იმის მიუხედავად, რომ ეს დოკუმენტი მუშავდებოდა პირდაპირ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, პროექტმა ძირითადად დადებითი შეფასება დაიმსახურა, თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრი შენიშვნაც გამოითქვა. აზრთა საკმაოდ საფუძვლიანი გაზიარების შემდეგ, გადაწყდა განევახლებინათ დებულების განხილვა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საბჭოს თითოეული წევრი პერსონალურად შეისწავლის მის ტექსტს და გამოთქვამს თავის შენიშვნებს.

შემდეგ სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელის ნოდარ ნათაძის ინფორმაცია. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა საფუძვლიანი ინფორმაცია აქ შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ, ამ რეგიონის პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ იგი გახდა პრინციპული ანალიზის საგანი. ამ კონფლიქტის წყაროებისადმი არაერთმნიშვნელოვანი მიდგომის მიუხედავად, ყველა გამოსულმა აღიარა, რომ სიტუაციის გამწვავებაში აქ თავიანთ ნეგატიურ როლს ასრულებენ რეგიონში უკანონოდ მყოფი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. ამიტომ კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე პირველ ნაბიჯად დაასახელეს ამ ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, ხოლო რაც შეეხება პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრას, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაკეთდეს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იქნება მთელი სიმართლე კონფლიქტის, მისი წყაროების შესახებ. სახელმწიფო საბჭოს რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიას დაევალა შეიმუშაოს შესაბამისი განცხადების პროექტი.

თენგიზ ნიკოლაიშვილი,
საქინფორმის კორ.

ჯაბა იოსელიანი:

„დემოკრატია საქმეში უნდა განივთდეს“

დაპირებისამებრ, გთავაზობთ სრულ ჩანაწერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის მიერ გამართული პრესკონფერენციისას, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის ინიციატივით გაიმართა ა. წ. 10 მარტს.

ჟურნალისტები ჯერ კიდევ არ დამსხდარიყვნენ, რეპორტიორებს თითო კადრის გადაღებაც ვერ მოესწროთ, რომ ბატონ ჯაბა იოსელიანს პირველი შეკითხვა მისცეს:

— რა ამბავია ფოთსა და ზუგდიდში?

გაგონილის დადასტურება სურდათ, ან უარყოფა. ეს უკანასკნელი უფრო, რადგან ჟურნალისტები ეგებ მკითხველებზე მეტად დავილალეთ უარყოფითი ემოციებისაგან — აღვნუსხავთ, ვწერთ, განვიცდით. ხალხი დაიღალა.

— ჩვენ ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ სისხლისღვრა, — იყო პასუხი, — ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს — ვითარების სტაბილიზაცია. დარწმუნებული ვარ, რომ ფოთისა და ზუგდიდის ამბები „ზვიადიზმის“ უკანასკნელი აგონიაა.

ამ საკითხს პრესკონფერენციის მონაწილენი ისევ დაუბრუნდებიან...

2

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

სრულყოთ მართვის სტრუქტურები

დღეს საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ უკიდურესად დაძაბა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მდგომარეობის ნორმალიზაციის, რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა თავისი უმაღლესი ორგანო — პრეზიდიუმი. მასში შევიდნენ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა, მისი პირველი მოადგილეები — ოთარ ქვილითაია, თენგიზ კიტოვანი, ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც იმავდროულად რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებს, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები რომან

2

გზად მომავლისკენ

METECHI
PALACE HOTEL
GREETINGS FROM AUSTRIA

ედუარდ შევარდნაძე:

„უკვე დაიწყო მსოფლიო საზოგადოებრიობის შემობრუნება ჩვენი ქვეყნისკენ“

თბილისში, სასტუმრო „მეტეხის“ საკონფერენციო დარბაზში მოეწყო „საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის“ პრეზენტაცია. აქ მოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ჯაბა იოსელიანი, საქართველოს დროებითი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები ბატონები: ირაკლი ხურგულაძე და რომან გოცირიძე, ქ. თბილისის მერი ბატონი ოთარ ლითანიშვილი, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერები, საქმიანი წრეების ხელმძღვანელები, ფონდის დამფუძნებელი ორგანიზაციების, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები.

ჩვენი გაზეთის 11 მარტის ნომერში ქართველ მკითხველს გავაცანით საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის წესდება, რომელიც თვალსაჩინოდ გამოხატავს მის მიზნებსა და ამოცანებს.

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ეს ფონდი დააარსა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით — თქვა მან პრეზენტაციაზე — და მივმართო ჩემს საზღვარგარეთელ მეგობრებს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმძიმეს დღეებში მხარი დაუჭირონ ჩვენს ფონდს და საქართველოში უკვე დაწყებულ პოზიტიურ პროცესებს ქვეყნის დემოკრატიზაციისა და აღორძინებისათვის.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა უკვე იცნობს ფონდის წესდებას, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში, მის მიზნებსა და ამოცანებს, იმ კეთილშობილურ და პატრიოტულ მისწრაფებებს, რომლებსაც ფონდი ისახავს მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან საქართველოს გამოსაყვანად, რესპუბლიკის მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების თანამეგობრობაში ჩართვისათვის, მისი აღმშენებლობისათვის.

მან მოკლედ მიმოიხილა ჩვენში შექმნილი ვითარება. — უნდა გითხრათ, — თქვა მან, — რომ დღეს საქართველოში მართლაც კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ახლაც მძვინვარებს სამოქალაქო ომი, ძმათა კვლა. დაკნინებულია ჩვენი ეკონომიკა, გაურკვეველ მდგომარეობაშია საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი, რომ იტყვიან, შიმშილი კარზეა მომდგარი და ბევრიც უკვე შიმშილობს. გაჩნდნენ ლტოლვილები, მათ შორის — ათასობით ქართული და ოსური ოჯახი. ეს სამარცხვინო ლაქა როგორმე უნდა ჩამოვირეცხოთ, ძალზე დიდი ძალისხმევა და ეროვნული ენერგიის მობილიზება დაგვჭირდება იმისთვის, რომ გადავლახოთ კრიზისი, რომელშიც აღმოვჩნდით.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ დღეებში მის მიერ უშუალოდ ნანახმა და განცდილმა კიდევ უფრო დაუმძიმა მას გუნება-განწყობილება. — პირდაპირ ვიტყვი, — აღნიშნა მან, — თუ მთელი საქართველო არ გაერთიანდა, შესაძლოა ჩვენ მართლაც კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ. ერის გადარჩენისთვის ამ საერთო ბრძოლის ერთი რგოლი უნდა გახდეს საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდი.

სატკივარი ბევრი გვაქვს, მაგრამ მაინც იმედის თვალით ვუყურებ მომავალს. უკვე დაიწყო მსოფლიო საზოგადოებრიობის შემობრუნება ჩვენი ქვეყნისკენ. უკვე გამოჩნდა პირველი გამამხნევებელი ნიშნები. მოსულია ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების მრავალი დეპეშა. ისინი მიესალმებიან საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ მისწრაფებას, იმ პოზიტიურ პროცესებს, რომლებიც დაისახა რესპუბლიკაში დემოკრატიისა და აღორძინების გზაზე. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ ჩვენ ამ პრინციპების ერთგულნი ვიქნებით.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, თქვა მან, — რომ უახლოეს ხანში დავამყარებთ ურთიერთობას მსოფლიოს ქვეყნებთან და თავს დავაღწევთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას, რომელმაც უმძიმეს პირობებში ჩააყენა ჩვენი ხალხი.

სიტყვის დასასრულს ბატონმა ედუარდმა გულთბილი მადლობა გადაუხადა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს, ორგანიზაციებს, საწარმო-დაწესებულებებს, ქართველ ბიზნესმენებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, ჟურნალისტებს, საზოგადოებრიობის აქ მოსულ წარმომადგენლებს ფონდის მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. — ეს მხოლოდ სასიამოვნო დასაწყისია, თქვა მან, — ვფიქრობ, ეს მოვლენა არ დარჩება შეუმჩნეველი და გარკვეულ კვალს დატოვებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პასუხი გასცა ქართველ და უცხოელ ჟურნალისტთა შეკითხვებს.

გია ჭელიძე,
მარატ ღვალაძე.

* * *

სურათზე: პრეზენტაციის დროს.

ბონდო დადვაძის და სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენ და ბიზნესი

კავკასიის ბირჟა

რომელსაც შეუძლია „თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე...“

მარინე ვაშაყმაძე

ღმერთო, რა ძნელი გახდა ცხოვრება, ჯერ ჩვენი შინაური არეულობა, მერე ეს ყოველდღიური პრობლემები — სიღარიბე, სიძვირე, დათრგუნულობა... რა უნდა იღონოს ასეთ დროს კაცმა, ან რა დაიჯეროს, ან რა იწამოს.

ეს ბოლო ხანია გამოჩნდა ხალხი, რომელიც სიკეთესა და აყვავებას გვპირდება, თუკი თავისუფალი ბაზარი და კერძო საკუთრება იქნება. ეს ხალხი თამამად, უბოდიშოდ შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში და თანმიმდევრულად იმკვიდრებს ადგილს. მათ ხან ბიზნესმენებს ვუწოდებთ, ხან მეწარმეებს, ხან საქმოსნებს, ხან კომერსანტებს. ესეც ნიშანდობლივია, რომ აქამდე სახელიც ვერ შევურჩიეთ...

ხშირად ჩვენ მათ უნდობლად ვუყურებთ, ზოგჯერ ვბრაზობთ მათზე, ზოგჯერ ვესარჩლებით, მაგრამ მათთან ურთიერთობაში ყოველთვის ვფრთხილობთ — ჩვენ მათ არ ვიცნობთ.

ჩვენ... ჩვენგან რა გასაკვირია, როცა თვითონ ილია ამბობდა: ჯერ კიდევ იმ დროს: „ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარს ქვეყანაში,... არც ერთს ფულიანს კაცს გონებაშიც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე“...

...ილიაც შიშობდა... მაგრამ მალე გამოჩნდნენ ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, ხოშტარიები და სხვანი და სხვანი... გამოჩნდნენ და დაიწყო კიდეც აღმავლობა... მაგრამ მცირე ხნით...

მაშინ, ჩვენ ერთხელ უკვე დავკარგეთ შანსი. ახლა ეს შანსი განგებამ მეორედ მოგვცა და კვლავ ყველაფერი თავიდან დაიწყო.. ის ძველი შიშიც თავიდან გაჩნდა...

1991 წლის იანვარში თბილისში მუშაობას შეუდგა „კავკასიის ბირჟის“ საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამირან ქადაგიშვილი, მოადგილედ — ვახტანგ სვანაძე. შეთანხმდნენ სახელწოდებაზე „კავკასიის ბირჟა“, რათა მას არ ჰქონოდა ლოკალური ხასიათი, ყოფილიყო სამომხმარებლო ბაზრის შექმნის დასაყრდენი საქართველოში და თავისუფალი საქონელმიმოქცევის ორგანიზების საფუძველი გამხდარიყო კავკასიის რეგიონში.

შეიქმნა კავკასიის ბირჟის წესდება, საბირჟო ვაჭრობის წესები და დაიწყო სარეკლამო კამპანია სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟის“ აქციებზე ხელმოსაწერად.

გავრცელდა საინფორმაციო ბიულეტენები, სადაც განმარტებული იყო ბირჟის ფუნქცია. ხალხმა გაიგო, რომ — როგორც სააქციო საზოგადოება იგი იძლევა დივიდენდს, ხოლო როგორც ბირჟა — აქციონერების მიერ საბროკერო ფირმების ორგანიზების საშუალებას.

სარეკლამო კამპანია თვენახევარს გაგრძელდა. 12 მარტს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა „კავკასიის ბირჟის“ დამფუძნებელი კონფერენცია. შემდეგი კონფერენცია უკვე მაისში იყო, მან აირჩია „კავკასიის ბირჟის“ საბჭო, დაამტკიცა საწესდებო ფონდი 80 მილიონი და საბჭოს მიეცა უფლებამოსილება მუშაობა დაეწყო.

3

თბილისი..

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სახელზე მოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის წერილი.

„ძვირფასო ედუარდ, — ნათქვამია წერილში, — ძალზე მოხარული ვარ, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თქვენი დანიშვნით. ეს მეტად გაბედული ნაბიჯია, რომელსაც მიესალმებიან დასავლეთში. ახეთი ხიმამაცე დამახასიათებელია თქვენი პიროვნებისათვის.

ვფიქრობ, რომ მალე დამყარდება დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და ევროპის გაერთიანების ქვეყნებს შორის".

●

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დუგლას ჰერდის — დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის წერილი. წერილში, კერძოდ ნათქვამია: „ვიწონებ თქვენს ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას დაბრუნებულიყავით საქართველოში და შეგესრულებინათ იქ ახალი როლი, დახმარებოდით რესპუბლიკას ბოლოდროინდელ უწესრიგობათა შედეგების დაძლევაში. გვინდა თქვენ და სახელმწიფო საბჭოში თქვენს კოლეგებს ვუთხრათ, რომ მთლიანად გვერთ მხარს თქვენი ქვეყნის სტაბილურობის აღდგენისა და აყვავების საქმეში".

დუგლას ჰერდი წერილში იტყობინება, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს ამ მიმართულებით.

●

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა მიულოცა ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა. გერმანელმა პოლიტიკოსმა თავის ყოფილ კოლეგას უსურვა „ძალები და წარმატება" ახალი ამოცანების გადაწყვეტაში.

ვიცი, თუ როგორ გაღელვებთ და გაწუხებთ თქვენი ხალხის ბედი, — ნათქვამია დეპეშაში. — და ამიტომ განსაკუთრებით დიდად ვაფასებ იმ ფაქტს, რომ ამ ძნელბედობის ჟამს თქვენ იკისრეთ ახალი პასუხისმგებლობა, ცდილობთ გაუკვალოთ საქართველოს დემოკრატიის გზა.

ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც თქვენ სარგებლობთ არა მარტო გერმანიაში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, კეთილ სამსახურს გაუწევს თქვენს ქვეყანასა და მის ხალხს, აღნიშნა ჰ.-დ. გენშერმა.

მან მხარი დაუჭირა გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

●

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ზაარლანდის პრემიერ-მინისტრის ოსკარ ლაფონტენის წერილი. მასში ნათქვამია:

„დიდად პატივცემულო ედუარდ შევარდნაძევ, სიხარულით შევიტყვეთ ცნობა თქვენი საქართველოს ახლად შექმნილი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ. გულითადად გილოცავთ.

ამ გარდატეხის პერიოდში მოვლენებითა და ცვლილებებით მდიდარ დროს თქვენ კისრულობთ ისტორიულ მისიას. წარმატებას გისურვებთ თქვენს პასუხსაგებ მოღვაწეობაში საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესებისათვის, რომელთანაც ზაარლანდელებს აკავშირებს დიდი მეგობრობა.

საუკეთესო სურვილებითა და მეგობრული სალმით თქვენი

ოსკარ ლაფონტენი,
ზაარლანდის პრემიერ-მინისტრი".

●

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კიოდო ცუსინის სააგენტოს პრეზიდენტის მილოცვის წერილი.

პატივცემულო ბატონო შევარდნაძე,

კიოდო ცუსინის სააგენტოს სახელით, მინდა გულითადად მოგილოცოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა.

ამ ბოლო ორი დღის მანძილზე მოლაპარაკება მქონდა იტარ-ტასის გენერალურ დირექტორთან ვ. იგნატენკოსთან, რომელიც ვიზიტად არის ტოკიოში. ჩვენ შევხვით თქვენი დანიშვნის სადღეგრძელო.

იმედი მაქვს, მომიტევებთ, რომ ეს დეპეშა, ცოტა არ იყოს, დაიგვიანდა. ამის მიზეზია ჩვენი გაჭიანურებული სადღეგრძელობი.

ერთხელ კიდევ გულთბილად გილოცავთ და თქვენ და საქართველოს ხალხს ვუსურვებ უოვლისავე საუკეთესოს, წარმატებებს მომავალში.

სრულყოთ მართვის სტრუქტურები

(დასასრული)

გოცირიძე, ირაკლი სურგულაძე, მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **გურამ ბერიძე**, რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **ომარ ვარძელაშვილი**. ჯერჯერობით ღია დარჩა საკითხი ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის ოთარ ლითანიშვილის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ, რადგან იგი არ არის მინისტრთა კაბინეტის წევრი.

პრეზიდიუმის შექმნა მხოლოდ ერთ-ერთი საკითხია, რომელიც განიხილეს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 11 მარტს გამართულ სხდომაზე, რომელზეც, სხვათა შორის, ძირითადად იმსჯელეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს რესპუბლიკაში მართვის სტრუქტურების სრულყოფის პრობლემებზე. კერძოდ, მიიღეს ორი პრინციპული მნიშვნელობის დადგენილება, რომელთა მიზანია საქართველოში ერთიანი საკონტროლო და საგადასახადო სისტემების შექმნა. გაუქმდა ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო და შეიქმნა რესპუბლიკის საკონტროლო პალატა, რომელიც იკისრებს პრაქტიკულად ყველა მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციებს. საგადასახადო სამსახურის მართვის სრულყოფას კი ხელი უნდა შეუწყოს გადაწყვეტილებამ რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით კი გაუქმდა ასეთი ინსპექცია ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში. როგორც საკონტროლო პალატას, ისე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას დაევალა კვირის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად წარუდგინონ თავიანთი სტრუქტურებისა და დებულებების პროექტები.

გადაწყდა ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების კომიტეტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტი. ეკონომიკის, ფინანსთა, თავდაცვის, იუსტიციის სამინისტროებთან ერთად მან უნდა შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახელმწიფო მატერიალური რეზერვების კონცეფცია, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვებისა და სამობილიზაციო რეზერვების შესახებ დებულების პროექტები.

შავი და ფერადი ლითონის ჯართის უფრო ეფექტიანი გამოყენების პრობლემამ განსაზღვრა მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაერთიანება „საქმეორეულშავლითონისა" და „საქმეორეულფერადლითონის" სამმართველოების ბაზაზე შეიქმნას რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქმეორეულლითონი" და დაექვემდებაროს იგი რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს. სხვათა შორის წარმოების საშუალებებსა და სახალხო მოხმარების საქონელზე რესპუბლიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ამ სამინისტროს საინვესტიციო ფონდი 1992 წლისათვის დამტკიცებულია 35 მილიონი მანეთის ოდენობით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებით მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის რაიონებში (ქალაქებში) შეიქმნას სოფლის მეურნეობის სამმართველოები და განყოფილებები — დარგის სახელმწიფო მართვის ტერიტორიული ორგანოები. როგორც დადგენილებაში აღინიშნა იგი დაექვემდებარება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და სამინისტროს, სოფლად განახორციელებს ერთიან აგრარულ პოლიტიკას, ხელს შეუწყობს მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების დანერგვას, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სასიკეთო პირობების შექმნას.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო აგრეთვე გარემოს დაცვის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მის სისტემაში უკვე არსებული რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას მთავარი ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველო. მიიღეს დადგენილება საბიუჯეტო სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის შესახებ, განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

საქართველო შევა ჩრდილოატლანტიკურ თანამშრომლობაში

— 10 მარტს ნატოს ბრიუსელის შტაბბინაში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონის მეორე სხდომა, — აუწყა საქინფორმის კორესპონდენტს ნიდერლანდებიდან საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ. სხდომაზე საბჭოს წევრებად მიიღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოები, რუსეთისა და საქართველოს გარდა. რუსეთი საბჭოს წევრია მისი დაარსების მომენტიდან — 1991 წლის 20 დეკემბრიდან. სხდომის მონაწილეებმა მიიღეს „დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარების სამუშაო გეგმა".

საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა დეტალურად განიხილეს მასში საქართველოს მიღების შესაძლებლობა.

სხდომის დასრულების შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ნატოს გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვერნერმა თქვა: „ჩვენ აგრეთვე განვიხილეთ ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში შესვლით საქართველოს დაინტერესება. ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს კარი ძირითადად ღიაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სახელმწიფოსათვის. მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომავალში მივესალმებით საქართველოს, როგორც ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრს, როგორც კი იგი ოფიციალურად იქნება აღიარებული და განაცხადებს, რომ ერთგულობს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს 1991 წლის 20 დეკემბრისა და 1992 წლის 10 მარტის განცხადებებს".

რეპორტიორის მწვავე სიგნალი

უჭირს სოფელს

რვა ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე უთესია ხორბალი გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს. ეს 1500 ჰექტარით მეტია შარშანდელთან შედარებით. ნათესები ჩინებულად გამოიყურებოდა, მაგრამ...

— დაგვიგვიანდა ჯეჯილების დამატებითი გამოკვება აზოტოვანი სასუქებით. ნათესებს ზოგან ყვითელმა ფერმა დაჰკრა, თუ დროზე არ ვუშველეთ, მოსავალი დაგველუპება, — ამბობს აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის" გენერალური დირექტორი მერაბ ზამბახიძე,— საქმე ის გახლავთ, რომ ჯეჯილების მთელი ფართობის გამოსაკვებად რაიონს ესაჭიროება 12 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი. თითოეული ტონა წლევანდლამდე 60 მანეთი ღირდა, ახლა კი 2 ათას მანეთად გვთავაზობს რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი". მარტო პურის ყანებისათვის ამ გაზაფხულზე 24 მილიონი მანეთის სასუქი გვჭირდება. ამ რაოდენობის თანხა მეურნეობებს არ გააჩნია, გამოსავალს ვერ ვხედავთ.

...სოფლად ახლა მარტო სიძვირე როდი აწუხებთ, არამედ პირველი მოთხოვნილების საგნების მწვავე დეფიციტი, თითქმის სრულებით აღარ იღებენ საშენ მასალებს, ლითონს. მძიმე სიტუაციაა მეფრინველეობის ფაბრიკებსა და მეცხოველეობის კომპლექსებში კომბინირებული საკვების უქონლობის გამო. ამიტომ ფერმებში მასობრივად იკვლება ღორი და ფრინველი...

საწვავის დეფიციტის გამო მთელი ტექნიკა უმოქმედოდ დგას. იმის საშუალებაც კი არ არის, რომ ფერმებში საკვები შეზიდონ ან რძე გადაიტანონ ქარხნებში და ხშირად ადგილზე ჰყიდიან. ელექტროენერგიის ხშირი გამორთვის გამო კი მოუწველელი რჩება ძროხები. ფერმებში მწყობრიდან გამოდის ნაკელგამტანები. უმოქმედობენ საკვებშემამზადებლები და პირუტყვს გადაუმუშავებელი საკვები ეძლევა, რაც ცემს მის ყუათიანობას. ახალ ტექნიკასა თუ ტექნიკის მარაგნაწილებზე მეურნეობებს საერთოდ აღარ მიუწვდებათ ხელი.

გარდაბნელები ეძებენ გამოსავალს, საზღვარგარეთის საუკეთესო ფირმებთან ამყარებენ პირდაპირ კავშირებს ბარტერული გარიგებებით საჭირო მოწყობილობებისა და საუკეთესო ტექნოლოგიის, თესლეულისა და საწვავის შემოსატანად, ესწრაფვიან შექმნან ერთობლივი საწარმოებიც.

დავით ივანიძე.

გაზაფხულის პირველი ხნული

ვარლამ ბენბიურის ფოტო.

გაიტაცეს 65 სული ცხვარი

ბოლო დროს გახშირდა აზერბაიჯანიდან გადმოსულ ყაჩაღთა მიერ პირუტყვის გატაცების შემთხვევები. ზემო-ალვანის მეურნეობის ერთ-ერთი ფერმიდან გაიტაცეს 65 სული ცხვარი, ართანის კოლმეურნეობის ბრიგადიდანაც, ხშირია შემთხვევები, როცა ივრის გაღმა ნაპირიდან გადმოსული მოსახლეობა შეშას აჭრადებს ისედაც გამეჩხერებულ ტყეში.

— ასეთი ფაქტების აღსაკვეთად — თქვა მერაბ კოსტავას საზოგადოების თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გივი ნეკერაულმა, — დავაწესეთ მორიგეობა, გატაცებული ცხვრების ნაწილი უკვე დავუბრუნეთ პატრონებს.

ზურაბ არსენიშვილი.

ჯაბა იოსელიანი:

„დემოკრატია საქმეში უნდა განივთდეს"

— **თქვენი დამოკიდებულება ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებისადმი?**

— ისეთი, რა დამოკიდებულებაც უნდა ჰქონდეს ამ საქმის ინიციატორს. თქვენ სხვა მოსაზრება გაქვთ? ბრძანეთ. მე გულწრფელად ვეკითხები აუდიტორიას. მზად ვარ მოგისმინოთ. მერე ერთად ვიმსჯელოთ. (საწინააღმდეგო პოზიცია დამსწრეთაგან არავის აღმოაჩნდა, პირიქით...)

— **მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მომავალ არჩევნებში?**

— არა. არჩევნების შემდეგ ჩემს საქმეს ვეწევი.

— **რა პროგნოზი გაქვთ, როდის ჩატარდება ახალი არჩევნები?**

— პროგნოზირება ძნელია, მაგრამ, ალბათ 2-3 თვეში. უკიდურესი ვადა შემოდგომაა.

— **დღეს საქართველოში ეკონომიკის კრიზისია, შიმშილია. რა პერსპექტივაა, რა დახმარებას ველოდებით?**

— 20 დღე, ერთი თვე მაქსიმუმ გაგვიჭირდება. მერე, რასაკვირველია, ციდან მანანა არ ჩამოცვივა, მაგრამ სურსათიც და ელექტროენერგიაც საკმარისი გვექნება.

— **წინა ხელისუფლება გარკვეულწილად ზღუდავდა კომერციულ საქმიანობას, ახლა კი ე. წ. რეკეტირები არ აძლევენ გასაქანს. რა პოზიცია აქვს დღევანდელ ხელისუფლებას?**

— მე თვითონა ვარ მოწმე, რომ ციხე გატენილი იყო კოოპერატორებით. ე. ი. არა მარტო იზღუდებოდა მათი საქმიანობა, არამედ უმოწყალოდ და უსამართლოდ ებრძოდნენ. რატომ კეთდებოდა ასე, დანამდვილებით ვერ გეტყვით, უფრო ღრმად ჩახედვაა საჭირო. მაგრამ მეორე პლანი აშკარად იყო, ქვენა აზრი ჰქონდათ უეჭველად. ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროში გავაუქმებთ ე. წ. „ობეხესს", ამით ბევრად გავაადვილებთ კოოპერატორთა საქმიანობას.

რეკეტი კი, მოგეხსენებათ, მარტო საქართველოს სენი არ არის. ამერიკაში, რომელიც ყოველთვის დადებითი მაგალითად მოგვყავს, უაღრესად გავრცელებულია. ჩვენი სახელმწიფო, რასაკვირველია, დაიცავს თავის მოქალაქეებს; ამასთან უკვე არის პირველი ფაქტები კერძო დეტექტივების, პოლიციის გამოყენებისა ამ მიზნით. ამასწინათ მნიშვნელოვანი ტვირთის ბათუმში უსაფრთხო გადაზიდვის უზრუნველსაყოფად მხედრიონის ბიჭებიც დაიქირავეს. ასე რომ თავდაცვისა და ბრძოლის მრავალი ფორმა იქნება გამოყენებული.

— **მილიცია რომ ძალიან პასიურობს?**

— გეთანხმებით, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ასეა.

— **მაინც, რა მოხდა ფოთსა და ზუგდიდში?**

— ფოთში კომენდანტის საათის დროს პატრულის მოთხოვნას არ დაემორჩილა მძღოლი, არ გააჩერა ავტომანქანა და მილიციის მუშაკები იძულებული შეიქნენ ესროლათ. სამწუხაროდ, მძღოლი, ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა. რასაკვირველია, ტრაგედიაა. რამდენჯერ უნდა ითქვას, რომ კომენდანტის საათს თავისი მკაცრი წესები აქვს, რომლებიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. ელემენტარული მოთხოვნაა. მაგრამ რატომღაც არ სურთ გაიგონ და, ხომ ხედავთ, მსხვერპლიც მოჰყვა.

ხელისუფლების რეაქცია ბუნებრივი იყო: ქართველებმა ვიცით რას ნიშნავს სიკვდილი ოჯახში. მაგრამ ის, რაც მათ ჩაიდინეს, ნორმალური თანაცხოვრების წესის ჩარჩოებში არ ეტევა: დაწვეს ყოფილი პრეფექტურის შენობა, ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს სამხედრო საბჭოს რწმუნებული, რომელიც მათ სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. იყო სროლაც: მილიციის სკოლის კურსანტებმა, რომლებსაც მომიტინგეებმა შეუტიეს, ჰაერში ისროლეს მათ დასაფანტად. ეს იყო ფოთში 9 მარტს.

ზუგდიდში კი 10 მარტს მილიციის თავს დაესხა რამდენიმე ათეული ნიღბიანი კაცი. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ტერორისტული აქტების შედეგად დაიღუპა სამი მილიციელი და ორი გვარდიელი.

ერთ დეტალს მივაქცევდი თქვენს ყურადღებას. თავდამსხმელი ნიღბოსნები ქართველები არ იყვნენ, ისინი დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. ჩანს, დაქირავებული მკვლელები შემოუსია საქართველოს დაინტერესებულმა ძალამ. ვინ არიან ისინი, მალე გავარკვევთ, ეჭვები არის მაგრამ ფაქტს დაზუსტება ჭირდება.

ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ რაც მოგახსენეთ, ეფუძნება ცნობებს, რომლებიც ოპერატიულად მოგვაწოდეს. მათ არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია, როგორც ვთქვი, ყველაფერი დაზუსტდება.

— **მთავრობის სამხედრო ძალის შესვლა სამეგრელოში ზოგიერთის მიერ ამ კუთხის ოკუპაციად აღიქმება. ხომ არ არის შესაძლებელი გვარდიის იქ განლაგებული ნაწილები მეგრელით დაკომპლექტდეს?**

— შეკითხვის დამსმენს არ ესმის ის, რასაც გიპასუხებთ: ეს ყურით მოთრეული პრობლემაა, არავითარი „მეგრული საკითხი" არ არსებობს. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ზუგდიდში ისევე ფიქრობენ და აზროვნებენ, როგორც აქ, თბილისში. იქ ვიყავი, იმ მძიმე დღეებში, როდესაც ორივე მხრიდან ხალხი დაიხოცა. მაშინ, პირველსავე დღეს შევხვდი იქაურ ელიტას, მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს, საზოგადოებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და ვერ ვნახე სხვა პოზიციებზე მდგომი კაცი. განსხვავება აქტიურობის დოზაშია მხოლოდ. ისინი არ მოქმედებენ, პასიურები არიან იმიტომ, რომ ეშინიათ შანტაჟის, სახლის დაწვის, ფიზიკური ანგარიშსწორების, თვითონვე მეუბნებოდნენ ამას.

ისიც მინდა გითხრათ, რომ ზუგდიდშიც და აფხაზეთშიც დაძაბულობის ესკალაციას ადგილობრივი მაცხოვრებლები კი არ აძლიერებენ, არამედ თბილისიდან გაქცეული „ყოფილები", რომლებმაც ადგილები და მდგომარეობა დაკარგეს. ბევრი მათ შორის დამნაშავეა, სისხლში აქვს ხელები გასვრილი. დასაკარგი არაფერი აქვთ და ამიტომ არც არაფერს ერიდებიან.

„მეგრული საკითხი" ექსპრეზიდენტის მოგონილია და მის რეანიმაციას ცდილობენ თბილისიდან სამეგრელოში გაქცეულები, რომლებსაც ზუგდიდში ვერც კი ცნობენ.

— **აპირებთ თუ არა გვარდიის შეყვანას აფხაზეთში და როდის ამუშავდება აფეთქებული რკინიგზა ამ რეგიონში?**

— რკინიგზა ამ დღეებში ამუშავდება. მთავარი ეს კი არ არის, არამედ — მსგავსი რეციდივების დაუშვებლობა, მაგრამ გვარდიის იქ დატოვება ამის გამო არაა მიზანშეწონილი: აქაც ახსენეს, რომ ჯარის იქ ყოფნა ამ მხარის დაპყრობის ფორმას იღებსო. სიტუაციას სხვანაირად მოვუვლით, ნაცადი მეთოდებით: ჩამოყალიბებულია ანტიტერორისტული, ანტიდივერსიული ჯგუფები, რომლებსაც უფლება ეძლევათ ადგილზევე მოახდინონ იმ ბანდიტების ლიკვიდირება, ვინც მათ არ დაემორჩილება. სხვა გამოსავალი არ არის.

— **ყველამ იცის, რომ იმ დივერსიული აქტების უკან, რომლებიც სამეგრელოში ხდება, გარკვეული ხელმძღვანელები და ორგანიზატორები დგანან — შურღაიები, ქობალიები. ეს ყველაფერი ხომ ცნობილია! წაყრუება ხომ არ ხდება?**

— ეს სერიოზული საკითხია. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, ყველა შესაძლებლობა მივეცით (დეკემბერ-იანვარშიც, სხვათაშორის) შეეწყვიტათ შეიარაღებული წინააღმდეგობა, კონკრეტულ გარანტიებს ვაძლევდით. ამნისტიაც ამას შეეხო უმთავრესად. მაგრამ საქმე ის არის, რომ დიდი დამნაშავეები პატარა დამნაშავეებს (რომლებსაც ჯერ ხელი არ მოვკიდეთ) შანტაჟით აიძულებენ დაემორჩილონ და ისინიც ხელს უწყობენ ბოროტმოქმედებაში. ვიცით, რომ მილიციის ზოგიერთი თანამშრომელიც ეხმარება მათ. გულახდილად გეტყვით, ვერიდებოდით დაჭერას, დროს ვაძლევდით გონზე მოსვლისა, მაგრამ ახლა უკვე გამოაშკარავდა ყველაფერი — პოლიტიკური მოთხოვნების საფარი ჩამოიცილეს და დივერსიებსა და ტერორისტულ მოქმედებაზე გადავიდნენ. ქართველი ხალხის გაუბედურების ხარჯზე პრეზიდენტობა სურს! რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა, რამდენი ოჯახი გაუბედურდა. რისთვის? იმიტომ, რომ გამსახურდია იჯდეს პრეზიდენტის სავარძელში? რატომ: ან ისეთი რა გაგვიკეთა, ან რას გვპირდებოდა არნახულს, რომ ასე შევეწიროთ? კაცი იმას რომ იტყვის და დაწერს — ჩემთან ერთად ჩემი ერიც უნდა დაიღუპოსო, ამის შემდეგ რაღაზე შეიძლება ლაპარაკი?! ერზე მაღლა დააყენა საკუთარი თავი! და ახლა თვითონ ხელმძღვანელობს დივერსიებისა და ტერორისტული აქტების განხორციელებას საქართველოში! ამის პატიება არ შეიძლება — არც მისთვის, არც იმათთვის, ვინც მას ამ ბოროტმოქმედებაში ეხმარება. დანდობა ჩვენი სისუსტე ეგონათ. თავიანთი საზომით უდგებიან — ვერ იგებენ სიკეთეს, სისუსტედ მიიჩნევენ, რადგან თვითონ ასე მოქმედებენ — თუ ძლიერი ხარ, სხვა უნდა დათრგუნო. ასევე აზროვნებენ.

— **საქართველოში ეროვნული არმიის შექმნის თქვენი კონცეფცია ცნობილია: თქვენ რეგულარული ჯარის შექმნის წინააღმდეგი ხართ. თუ შეიძლება განმარტეთ.**

— ჯერ დავაზუსტოთ ჩემი პოზიცია. მე რუსული ყაიდის ჯარის საქართველოში შექმნის წინააღმდეგი ვარ. თანაც, ვერც 200 და ვერც 100 ათასკაციან არმიას ჩვენ ვერ შევინახავთ. 250 ათასი ჯარისკაცი ჰყავს გერმანიას, ევროპის პირველ ქვეყანას. ჩვენ ან ამდენი, ან ამის ნახევარი რად გვინდა? რა დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელებისათვის ვემზადებით?

რუსეთის ჯარი იმპერიალისტური ყაიდის, დათრგუნული და შეშინებული მონების ჯარია: — ადექი! დაწექი! მარჯვნივ! მარცხნივ! რატომ იყო „დედოვშჩინა" საბჭოთა ჯარში? იმიტომ, რომ იქ არსებობდა ექსპლუატაცია უფროსების მიერ უმცროსების — ახალწვეულების, მეტიც, მონობის ნაირსახეობა. მომდევნო წელიწადს ეს ახალწვეული უკვე სხვას, მის შემდეგ მოსულს უწევდა ექსპლუატაციას.

ჩვენმა ხალხმა ქართულ ტრადიციებზე უნდა იცხოვროს და ჯარიც ამ ტრადიციებს მისადაგებული უნდა ჰყავდეს. ჩვენს წინაპრებს თუ ერთ მხარეს თოხი ედოთ, მეორეს — თოფი, ახლა, ალბათ, მათი შესატყვისი ტრაქტორითა და ავტომატით უნდა შევცვალოთ, უნდა ყველამ ვიშრომოთ და, თუ საჭირო გახდა, ასევე ყველამ ვიომოთ.

30 ათასკაციანი რეგულარული ჯარი, ჩემი აზრით, საქართველოსთვის სავსებით საკმარისია. უნდა იყოს მაშველთა კორპუსიც.

მოხალისეობის პრინციპი, რომელიც ასეთ კონცეფციაშია ჩადებული, ადამიანის პირადი ვაჟკაცობის გამოვლენის სრულ შესაძლებლობას იძლევა საწინააღმდეგოდ იმ პრინციპისა, რომელიც საბჭოთა ჯარის შექმნის საფუძველი იყო. ომის მონაწილეთა ადამიანურ თვისებებში არ მინდა ეჭვი შევიტანო, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ სწორედ იმ ომში იყო გამოყენებული ე. წ. „ზაგრანოტრიადები", რომლებიც უკან ედგნენ რეგულარული ჯარის შეტევაზე გადასულ ნაწილებს და ხვრეტდნენ ყველას, ვინც მტერს ზურგს შეაქცევდა. ასეთნაირად იძულებული კაცი გმირობასაც ჩაიდენდა, ეს მონის გმირობა იყო.

რაც შეეხება გარეშე აგრესიისგან თავდაცვას, ჩვენ უთუოდ შევალთ რომელიმე სამხედრო ბლოკში და იქ გაერთიანებული ძალები იმ სტატუსის მიხედვით იმოქმედებენ ჩვენთანაც, რომელიც, ვთქვათ, დღევანდელ ევროპაშია დამკვიდრებული.

— **ვინ აფინანსებდა მხედრიონს და რას ელის მისგან დამფინანსებელი?**

— მხედრიონს აფინანსებდა ქართველი ხალხი და რასაც ელოდა, ვფიქრობ, მიიღო კიდეც.

— **არის თუ არა იმის გარანტია, რომ მხედრიონს იარაღი არ გადავა დამნაშავეთა სამყაროს ხელში?**

— ამის გარანტია არ შეიძლება იყოს, დამნაშავეთა სამყარო იმიტომ არსებობს, რომ იგი ყოველთვის იშოვნის იარაღს. სტალინის დროს, მოგეხსენებათ, მარტო დამნაშავეთა სამყაროს ჰქონდა იარაღი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ იდევნებოდა არა მარტო ის, ვისაც იარაღი გააჩნდა, არამედ ისიც კი, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა. პატიოსან კაცს იარაღი რომ ჰქონდეს, მაშინ ბოროტმოქმედი ჯერ კარგად იფიქრებდა, ღირდა თუ არა ასეთ ოჯახში შესვლა. იარაღის ქონება კი არ არის დანაშაული (განსაკუთრებით ქართველი კაცისთვის, რომელსაც ამის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია მოსდგამს), არამედ — მისი დანაშაულებრივი მიზნით გამოყენება. უამრავ მაგალითს გაიხსენებს ნებისმიერი თქვენგანი, როდესაც უიარაღოდაც მოუკლავს კაცი ბოროტგანმზრახველს. ისე, რომ დასკვნის გაკეთება ადვილია.

— **ამ ბოლო დროს რამდენჯერმე თავს დაესხნენ ჟურნალისტებს. თვლით თუ არა, რომ ჩვენც უნდა ვატაროთ იარაღი?**

— არ მესმის, რატომ უნდა იყვნენ დისკრედიტებული ჟურნალისტები...

— **იქნება თუ არა ეს იდეა დაკანონებული?**

— შესაბამისი კანონი თუ არ იქნა მიღებული, ისე აზრი ეკარგება. მაგრამ გავიტანთ?

— **მხედრიონის რამდენი მებრძოლი დაიღუპა დეკემბრიდან დღემდე?**

— თოთხმეტი კაცი. დაჭრილია რამდენიმე ათეული.

— **რა მდგომარეობაა ჩვენს ავტონომიებში, რამდენად ფლობს და მართავს იქაურ სიტუაციას სამხედრო საბჭო.**

— ავტონომიების საკითხებთან ჩვენ ჯერ ისე არ მივსულვართ, როგორც საჭიროა, რადგან მწვავე საერთო რესპუბლიკური პრობლემები ისევ და ისევ მოსაგვარებელი გვაქვს. დაძაბულობის ესკალაცია, დივერსიული აქტები, პროვოკაციული ქმედებანი, რასაც ჯერ კიდევ იწევიან ექსპრეზიდენტის მომხრენი... საერთო ვითარება საშუალებას არ გვაძლევს სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს, ინერციით მიდის, მიშვებულია. ზოგან პრეფექტებიც კი არ გაგვიუქმებია. სიტყვამ მოიტანა და ჩემი გულისტკივილი მინდა გაგიზიაროთ ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ჩვენი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად რწმუნებულები თვითონ, ადგილობრივ აირჩიათ, არაფერი გამოვიდა· თქვენ დაგვინიშნეთო. ამას არიან მიჩვეულები და ამაზე გულისმომკვლელი არაფერია. სხვათა შორის, ეს ჩვევა გამჟღავნდა ახლა უკვე ყოფილი პრეზიდენტის არჩევისასაც და მის მხარდაჭერაშიც აისახა.

ცნობილი და სამარცხვინო, ამორალური (ამის თქმაც ცოტაა) ფაქტი საჯაროდ, ტელევიზიით მონანიებისა, როდესაც მან ხაზი გადაუსვა იმ საქმეს, რომელსაც თითქოს მიუძღვნა ცხოვრება, თავი მოგვჭრა მთელს მსოფლიოში ხალხს, რომლის ისტორიაში იყვნენ ქეთევან წამებული, დიმიტრი თავდადებული... შემდეგ კი გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, რომ მისი ეს ქმედება კარგი იყო და გამართლებული, და თუ ვინმე ამას არ ხედავსო, იგი საქართველოს მტერიაო. ჩვენ გავუჩუმდით, ამით გავამართლეთ. ამას კი ყველა სხვა უბედურება მოჰყვა.

— **რა როლს თამაშობს საქართველოს წინააღმდეგ ტორეზ კულუმბეგოვი?**

— რამდენადაც ვიცი, ტორეზ კულუმბეგოვი მოსკოვშია. მე არ ვფიქრობ, რომ იგი ცუდ როლს ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ქართველების წინააღმდეგი არ იქნება არასოდეს.

— **რა პერსპექტივა ისახება სამაჩაბლოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად?**

— მე მგონი, ჩვენ სწორი გზა გვაქვს აღებული — მოლაპარაკება. ჩვენ კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით. მათგან გამოკვეთილი პოზიცია ჯერ არ ჩანს. აქ მრავალი არაერთმნიშვნელოვანი თემაა და ქვეთემა, მაგრამ ეს პროცესიც დაიძვრება.

— **სამაჩაბლოდან შინაგანი ჯარების გაყვანის საკითხი როდის გადაწყდება?**

— როგორც კი გვცნობენ, დაუყოვნებლივ დავიწყებთ მოლაპარაკებას რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე.

— **თბილისში დადის ჭორი, რომ გროზნოში იწვევენ საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს სესიას, რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს?**

— ეს რაღაც ტაკიმასხარაობაა. მაგრამ თუ ტაკიმასხარაობაზე გვეცინება, აქ ტირილი მოგინდება... მაინც ტაკიმასხარაობაა, პროვოკატორული შოუა. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ დეპუტატების დიდი აქტივობა არ ჩანს. აფხაზეთიდან, მაგალითად, მხოლოდ ორი კაცი წავიდა. გამსახურდია რუსეთის ტელევიზიით აცხადებს, რომ იმ არეულობას, რომელიც საქართველოში ხდება (ტერორისტული, დივერსიული აქტები), ეროვნულ დაუმორჩილებლობას თვითონ ხელმძღვანელობს გროზნოდან. ისინი, ვინც მასთან გაემგზავრნენ, მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას ესწრაფვიან. ასეთი პირების მიმართ ჩვენც გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ, ზოგიერთის იზოლაციამდეც კი.

— **რა ღონისძიებები გაქვთ დასახული ამნისტირებულების დასასაქმებლად? რით დაეხმარებით, რომ ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუბრუნდნენ ისინი, ვისაც ეს სურთ? და მეორე კითხვა: მიიღებთ თუ არა მათ მხედრიონში?**

— ამ საკითხების მოსაგვარებლად გამოყოფილი გვყავს კომისია. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ცოტა ხელს გვიშლიან სამინისტროში. ჩვენი დახმარება გამოიხატება იმაში, რომ სამსახური ვუშოვოთ, ერთდროული დახმარება კი არ გავუწიოთ, ფული კი არ მივცეთ, ასეთი დახმარება დამღუპველია, და, სხვათა შორის, მარტო აქ არა, დასავლეთიდან მიღებულ დახმარებასაც ვგულისხმობ. ჩვენ თუ სხვისი ხელის შემყურე დავრჩით, დავიღუპებით. პოლონეთის მაგალითი ამის დამადასტურებელია — ეხმარებოდნენ და მაინც 32 მილიარდი დოლარი აქვს ვალი. ჩვენც შეიძლება ასე დაგვემართოს, თუ შრომას არ მოვკიდეთ ხელი.

ამნისტირებული ახალგაზრდების მხედრიონში მიღებაზე კი გიპასუხებთ, რომ მხედრიონში მიღება დამთავრებულია, ჩვენც არ უნდა იყოს, არ მივიღებთ.

— **რატომ დაბანაკდა საქართველოში, ვაზიანში მთიანი ყარაბაღიდან გამოყვანილი სამხედრო შენაერთი?**

— საქართველო მისთვის სატრანზიტო პუნქტია. იგი სხვაგან იქნება დისლოცირებული.

— **ექნება თუ არა თქვენგან მხარდაჭერა მოსახლეობის ჯგუფების, გაერთიანებების თუ ცალკეული პირების ახალ ინიციატივებს?**

— მართლაც ბევრნი მოდიან ჩვენთან — პარტიები, ორგანიზაციები — დახმარებას ითხოვენ, მაგრამ, იცით რა? თვითონ უნდა გააკეთონ საქმე. იდეები კარგია, მათი განხორციელება — უკეთესი. ასეთი განწყობილება უნდა გვქონდეს ყველას, ჩვენი უფლებები უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ სწორედ ამას არაა ყველა მიჩვეული. სამწუხაროდ, მარტო ძირეულ რგოლებში კი არა, ზემოთაც: არ სურთ პასუხისმგებლობის განაწილება. კრიტიკა ყველას შეუძლია, საქმე — არა. დღეს საქმეა მთავარი. ლაპარაკის დრო წავიდა.

დემოკრატია საქმეში უნდა განივთდეს.

ჩვენ და ბიზნესი

(დასასრული)

კავკასიის ბირჟა

რომელსაც შეუძლია „თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე...“

ეს წერილი
„კავკასიის ბირჟას“
არ ეძღვნება.
მისი სახით **მარინე ვაშაყმაძე**
დღევანდელ
ქართველ მეწარმეთა
გაცნობა ვცადე...

უკვე თითქმის წელიწადია, გაზეთს გაშლი თუ ტელევიზორს ჩართავ იმ წამს წარმოგიდგება ნაცნობი სარეკლამო წარწერა: „კავკასიის ბირჟა“. ეს სახელწოდება უკვე კარგად დავიმახსოვრეთ. ის კი არა და, ლამის ნახევარი საქართველო კავკასიის ბირჟის აქციონერი გახდა. სურათი ნათელია: შეიკრიბნენ ყოჩაღი ბიზნესმენები, თავი დაადგეს საქმეს და რეკლამის რაოდენობის მიხედვით აშკარად კარგად ცხოვრობენ. ჰოდა, აბა, სხვა რაღა არის საჭირო იმისათვის, რომ გაჭირვებული კაცი მიხვიდე და დახმარება სთხოვო. ან სესხი, ან რეკლამა... აბა როგორ უნდათ, „ჩვენს ხარჯზე რომ მდიდრდებიან“... მოკლედ, ცოდვა გამხელილი სჯობს და „კავკასიის ბირჟაზე“ მეც ჩემი საქმეებისათვის მივედი.

მივედი და დავრჩი. მივედი და ვეღარ წამოვედი, რადგან წმინდა პროფესიული ინტერესი გამიჩნდა.

პირველი ბიჭი დავით იაკობიძე იყო, „კავკასიის ბირჟის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. საინტერესო მოსაუბრე, კონტაქტური, მეგობრული, გეგმებითა და იდეებით აღსავსე კაცი. სწორედ იმან მითხრა, ყველა თხოვნა რომ შემისრულა, ნუთუ სხვა არაფერი გაინტერესებთო? და პირველად მაშინ დავფიქრდი — ჰო, მართლა ვინ არის ეს ხალხი ამ ჭრელი და ლამაზი ფირნიშის მიღმა, ვინ არიან ისინი, ერთ თვეში აქციონერთა ისეთი რაოდენობის შემკრებნი, რომ ოპერის თეატრმა ვერც კი დაიტია. ვინ არიან ისინი, ვინც, მგონი, რაღაც საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. „მგონი, რაღაც“, რადგან მსმენია, დაწერილი კი არსად არაფერი მინახავს. ვინ არიან ისინი, ამ უზარმაზარი შენობის მეიჯარენი ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

10 მაისს შეიკრიბა „კავკასიის ბირჟის“ საბჭოს სხდომა. აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარე — ამირან ქადაგიშვილი და გამგეობის თავმჯდომარე — ვახტანგ სვანაძე. სწორედ მას დაევალა მოემზადებინა საბირჟო ვაჭრობების დაწყება.

შეირჩა საოპერაციო დარბაზი, მოხდა 800 საბროკერო ფირმის რეგისტრირება და ივლისის ბოლოსათვის ჩატარდა პირველი ვაჭრობა. განისაზღვრა ვაჭრობის დღეები — სამშაბათი და ხუთშაბათი და გადაწყდა, რაც არ უნდა მომხდარიყო თბილისში, რა ფორს-მაჟორული პირობებიც უნდა შექმნილიყო, საბირჟო ვაჭრობები არ გადაედოთ.

თითქოს გული უგრძნობდათ, სულ მალე მართლაც იმგვარი პირობები შეიქმნა საქართველოში, ყოველნაირ „ფორს-მაჟორს“ რომ აჭარბებდა. იმ დროს, ბევრმა კომერციულმა სტრუქტურამ საერთოდ შეწყვიტა მუშაობა და სწორედ მაშინ გამოჩნდა რა შესძლებია საერთო ძალისხმევას. თვით ბირჟის გამგეობის წევრები აღიარებენ, რომ იმ 800 საბროკერო ფირმის თავდადების გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა მუშაობის გაგრძელება. ერთ ვაჭრობას მეორე მოჰყვა და თანდათან დღიურმა ბრუნვამ 18 მილიონს გადააჭარბა.

პირველი, რაც უცნაურად მომხვდა თვალში, როცა „კავკასიის ბირჟის“ საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ამირან ქადაგიშვილის კაბინეტში შევედი, იყო ამ ოთახის სისადავე. სკამები, მაგიდები, მაგიდაზე ფურცლები და კარგად წათლილი ფანქრები. არც შთამბეჭდავი კარადები, არც უცხოური დროშებითა და სანიშნებით სავსე თაროები, არც ძვირფასი სურათები კედლებზე, არც ფაქსებისა და ქსეროქსების მთელი კრებული. გავოცდი, რადგან ეს ყველაფერი არაერთხელ მინახავს დამწყებ და ჯერ არაფრით თავგამოჩენილ ბიზნესმენთა კაბინეტებში. როგორც ჩანს, ამ ერთი წლის მანძილზე აქ სულ სხვა პრობლემებზე ფიქრობდნენ.

ჩვენი საუბარი კარგა ხანს გრძელდებოდა და არც ერთხელ ამ ხნის მანძილზე არ მიგრძვნია, რომ უზომოდ დაკავებულ კაცს ვესაუბრები, თუმცა მისაღები მომლოდინე ხალხით იყო გაჭედილი და ტელეფონიც გამუდმებით რეკავდა. პირიქით, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იმ წუთებში მისთვის ეს საუბარია ყველაზე მთავარი, თუმცა შესანიშნავად მესმოდა, რომ კარზე მომდგარი აქციონერთა კონფერენციის წინ, ცხადია, არაფრით არ შეიძლებოდა ეს ასე ყოფილიყო.

მთელი წელიწადი გამგეობის მუშაობა იქით იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება უკეთესი პირობები შექმნოდათ საბროკერო ფირმებს. ბევრიც გაკეთდა, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო ფირმების ოფისებით, დამოუკიდებელი ტელეფაქსური კავშირით, ერთიანი კომპიუტერული ქსელით უზრუნველყოფა ბოლომდე ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ მოხერხდა საბროკერო ფირმების საკრედიტო მომსახურების ორგანიზება. სწორედ ამისათვის დაფუძნდა „კავკასიის ბანკი“, რომელიც სპეციალურად საბირჟო ოპერაციებზე არის ორიენტირებული და რომელიც საბროკერო ფირმებს აძლევს მოკლევადიან კრედიტებს მათ მიერ ჩატარებული კომერციული ოპერაციებისათვის. ეს დიდი ხელშეწყობაა, რადგან, მოგეხსენებათ, საკუთარი საბრუნავი საშუალებები ახალშექმნილ საბროკერო ფირმებს ნაკლებად ექნებოდათ.

ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე არსებულ თითქმის ყველა ბირჟასთან დადებულია ხელშეკრულება საბროკერო ადგილების გაცვლის შესახებ. კავშირგაბმულობის სისტემის მოშლის პირობებში ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ყველა ეს ბირჟა ჯერჯერობით, რეალურად არსებული საქონლით ვაჭრობს. ჯერჯერობით, რადგან, ბირჟა უნდა ვაჭრობდეს არა რეალური საქონლით, არამედ კონტრაქტებით ამ საქონელზე. მაგრამ იმისათვის, რომ ამგვარი ვაჭრობები განხორციელდეს, საჭიროა ბირჟაზე არსებობდეს სპეციალური საანგარიშსწორებო პალატა, რომელსაც ექნება ამ კონტრაქტების დაზღვევის საშუალება. ამისათვის შეიქმნა „კავკასიის სადაზღვევო კომპანიაც“. თუმცა, დღეს, იმის გამო, რომ რისკის პროცენტი ძალიან მაღალია, კომერციული ოპერაციების დაზღვევა კომპანიას ძალიან უჭირს. ამიტომ ჯერჯერობით, იგი სხვა სახის სადაზღვევო მომსახურებით იფარგლება.

და კიდევ ერთი, ფირმებს წარმოეშვათ პრობლემები საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებით. „კავკასიის ბირჟამ“ ესეც გაითვალისწინა და ვინაიდან ბირჟას არც სახსრები, ფონდი და არც მოზიდული სახსრები არ მისცემდა საშუალებას რომ შეექმნა დამოუკიდებელი ავტოპარკი თუ სატრანსპორტო ავიაკომპანია, გადაწყდა, ეს პრობლემა გადაჭრილიყო სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ორგანიზებით. ბირჟა დაუკავშირდა რამდენიმე სატრანსპორტო ორგანიზაციას და მათთან ერთად დააფუძნა „კავკაზტრანსექსპედიტორი“, შემოკლებით „კავტრექსი“. ეს კომპანია, უახლოეს ხანში დაიწყებს მუშაობას.

ჩვენი საუბარი დღევანდელ დუხჭირ პრობლემებს შეეხებოდა. და როცა ბატონ ამირანს გამოსავლის ძიებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, წინასწარ მოვემზადე იმის მოსასმენად, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ ენერგიულ ადამიანთა წყალობით ჩვენ სულ მალე დავდგებით ფეხზე. პასუხი კი მოულოდნელი იყო: ჩვენ ახლა უფსკრულისაკენ მივექანებით და ჯერჯერობით, მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ როგორმე რბილად დავეცეთ და არ დავიმსხვრეთ. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავიწყოთ ფიქრი ფეხზე წამოდგომაზე.

— შევძლებთ კი წამოდგომას? — ვიკითხე.

— შევძლებთ. — თქვა ძალზე მშვიდად და უყოყმანოდ ბატონმა ამირანმა.

ამ პასუხის შემდეგ უფრო იოლად მოვისმინე მისი საუბარი იმის თაობაზე, რომ ერთხანს ძალზე გაგვიჭირდება, რომ ფასების „გაშვება“ აუცილებელია წარმოების სტიმულირებისათვის და დეფიციტის შევსებისათვის. რომ ამისი წამალი მხოლოდ ერთია — ყველამ ის საქმე უნდა აკეთოს, რომელიც ყველაზე კარგად იცის და შეუძლია. უნდა აკეთოს თავგანწირვით, თავგადებით. რომ მხოლოდ ნამდვილი კონკურენციის პირობებში შეიძლება მომავალზე ფიქრი, რადგან რა ვქნათ, სხვა ჩვენ არაფერი შეგვაფუცხუნებს. კარგად მუშაობას მაშინ დავიწყებთ მხოლოდ, როცა ვნახავთ, რომ ჩვენივე საქმის სხვა, უფრო კარგად გამკეთებელი გამოჩნდება.

და მაინც, ყველაზე დიდი როლი ამ პერიოდში მეწარმეებს ეკისრებათ, ამიტომ არის, რომ აუცილებელია განსაკუთრებული შეღავათების შემოღება მეწარმეობის განვითარებისათვის, ლიცენზიებისა და ყოველგვარი შეზღუდვების მოსპობა, ხელშეწყობა, ხელშეწყობა და ხელშეწყობა. თუ ამას მივხვდებით, გადავრჩებით.

რა თქმა უნდა, ბიზნესს ფული ახლავს. და ეს კარგია. გამდიდრება ნორმალურია, სიღატაკეა არანორმალური. სწორედ ამიტომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უმალ გადაეშვა კომერციის ზღვაში და თავგანწირულად ცდილობს გაცუროს. მე მეშინია, რომ ბევრი მათგანი ნაპირს ვერ გაატანს. ბატონი ამირანი მეთანხმება. — მერე არ მოჰყვება ამას გულგატეხილობა, დეპრესია? — არ მოჰყვება, რადგან ამისი დრო არ ექნებათ და ხელმოცარულები ახლა სხვა საქმეს დაუწყებენ ძებნას. ისინი, კი ვინც გაიმარჯვებს, ისინი იქნებიან სწორედ მომავალი მდიდარი საქართველოს მშენებლები.

„კავკასიის ბირჟასთან“ 800 საბროკერო ფირმა შეიქმნა, მაგრამ ბროკერთა პირველი ტალღა არაპროფესიონალური იყო და სტიქიურად იქმნებოდა. ამაზეც იფიქრეს ბირჟის ორგანიზატორებმა და გადაწყვიტეს პროფესიონალ ბროკერთა აღზრდაზე ეზრუნათ. დაარსდა სპეციალიზებული სასწავლებელი, საბირჟო კოლეჯი, რომელშიც მოემზადებოდნენ არა მხოლოდ „კავკასიის ბირჟაზე“ უკვე მომუშავე ბროკერები, არამედ ისინიც, ვინც მომავალში აპირებს ამ საქმიანობას. კოლეჯში მიღება ხდება ერთის მხრივ იმ ხალხისა, რომელთაც უკვე აქვთ უმაღლესი განათლება და სურთ ახლა კომერსანტის პროფესიას დაეუფლონ, მეორეს მხრივ კი სასკოლო ასაკის — მე-8 და უფროსკლასელთა, რომელთაც უკვე ამ ასაკიდან აქვთ ორიენტაცია კომერსანტობაზე. ეს იყო პერსპექტივაზე გათვლილი სვლა.

დღევანდელ დღეზე ფიქრით კი, ბირჟასთან მეორე უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა, რომელიც კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს შეიძლება შევადაროთ. ეს არის საბირჟო სკოლა, სადაც საბროკერო ფირმების მენეჯერებს ამზადებენ. მათ ექნებათ გარკვეული ცოდნა კომერციაში, მარკეტინგში, საბუღალტრო საქმეში, ისწავლიან უცხო ენებს და კომპიუტერზე მუშაობას.

ამრიგად, „კავკასიის ბანკში“ ფული არის, „კავკასიის ბირჟაზე“ ფული ტრიალებს. ძალიან კარგი, მაგრამ ამით ჩვენ რა?

რა და ის, ჩემო კარგებო, რომ ამ ხალხს, ქველმოქმედებაზე საგანგებოდ უფიქრია და მთელი პოლიტიკაც შეუმუშავებია, ყველა ახალ წამოწყებას როგორ ამოუდგნენ მხარში, დაჩაგრულს როგორ უპატრონონ, საქართველოს მომავალზე როგორ იფიქრონ— დედათა დახმარებაზე, რომ როგორმე შვილები იყოლიონ და დაზარდონ, სტუდენტებს როგორ დაეხმარონ, ნიჭიერ, მაგრამ უსახსრო ხალხს, როგორ შეეხიდონ ქართულ კულტურას, მეცნიერებას. აქ ყველაფერზე ფიქრობენ და უკვე ბევრ რამეს აკეთებენ კიდეც.

— მე ვთვლი, რომ ადამიანს, განსაკუთრებით ნიჭიერს, აუცილებლად უნდა გაუწოდო ხელი და ფეხზე დააყენო, მერე ის თავის დროზე აუცილებლად გაუწოდებს ხელს ვინმეს სხვას. — ამბობს ბატონი ამირანი.

ეს ხომ ასეა, მადლი ჰქენი, ქვაზე დადეო. კი ბატონო, მაგრამ მაინც სულ არ იქნებოდა ურიგო, ქართველ საზოგადოებრიობას სცოდნოდა, რომ მაგალითად, შარშან, აქციონერთა კონფერენციის გადაწყვეტილებით „კავკასიის ბირჟამ“ მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში 750 ათასი მანეთი გადარიცხა. საზოგადოებას ეს უნდა სცოდნოდა და ამაში ჩვენ, ჟურნალისტებიც ვართ ცოდვილნი. საზოგადოებას ეს უნდა სცოდნოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დღემდე ვერავინ ვერ მიაკვლია, ბოლოს და ბოლოს სად წავიდა და რაზე დაიხარჯა ეს იმდროისათვის საკმაო თანხა.

ამიტომ ახლა ბირჟამ გადაწყვიტა სულ სხვაგვარად გაუმართოს ხელი შეჭირვებულთ. სახლის აშენება სჭირდებათ? სახლს აუშენებს. საკვები და ჩასაცმელი? მიაწოდებს. „კავკასიის სადაზღვევო კომპანიამ“ მაგალითად, დეკემბერ-იანვარში თბილისში უსახლკაროდ დარჩენილ ხალხს ნაღდი ფულით ათას-ათასი მანეთი დაურიგა (სულ 300.000-მდე).

მადლი ჰქენი, ქვაზე დადეო, ეს მართალია, ბატონო ამირან, მაგრამ მადლის დაფასებაც ხომ უნდა ვისწავლოთ ბოლოს და ბოლოს. და ამიტომაც, საჭიროა ხანდახან ვიცოდეთ ქველმოქმედთა სახელებიც.

„კავკასიის ბირჟასთან“ იქმნება ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთაც ერთი შეხედვით არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო კომერციასთან. მაგრამ დღეს, როცა ასე უჭირს ფუნდამენტურ მეცნიერებებს, როცა ზოგიერთი დარგი საერთოდ ჩაქრობის საშიშროების წინაშე დგას, ბირჟის მესვეურებმა გადაწყვიტეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სტიმულირების ცენტრი და სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა დანერგვითი ტიპის ორგანიზაცია შეექმნათ.

ბირჟასთან შეიქმნა კულტურის ცენტრიც, რომელიც ქართული ხელოვნების მხარდამჭერი და შემწე იქნება. ამ ცენტრში კომერცია კულტურის სამსახურში ჩადგება და ხელოვან ხალხს, რომელთაც ფულზე ფიქრი არ შეუძლიათ, იმის რწმენა არ გაუქრებათ, რომ ამ გაუხეშებულ ცხოვრებაში მათი საქმე საქართველოს ისევ სჭირდება.

ამირან ქადაგიშვილის კაბინეტის პირდაპირ ბირჟის გამგეობის თავმჯდომარის ვახტანგ სვანაძის ოთახია. ვახტანგსაც საკმაო დრო დავაკარგვინე ბირჟის მუშაობის ნიუანსების გარკვევაში, მაგრამ ეს დრო ამ ენერგიულმა, წარმოუდგენელი შრომის უნარის მქონე ახალგაზრდა კაცმა სიამოვნებით გაიღო, რადგან თვლის, რომ ჩვენთვის, საზოგადოების „არაკომერციალიზებული“ ნაწილისათვის აუცილებელია დღეს ამ საქმეში გარკვევა.

ვახტანგ სვანაძე განათლებით ეკონომისტია და უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, როგორც კათედრის დოცენტი. სასაქონლო მიმოქცევის ორგანიზებისა და საბითუმო ვაჭრობის საკითხები ყოველთვის აინტერესებდა. მისი სადისერტაციო ნაშრომიც ამ პრობლემებს ეხებოდა. მაგრამ მაშინ საგეგმო ეკონომიკის დრო იყო და ბირჟის შექმნაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. ისიც ოცნებობდა და ფიქრობდა. ამდენად, ეკონომიკაში სიტუაციის შეცვლის მომენტისათვის ვახტანგ სვანაძე თეორიულად უკვე მზად იყო. სწორედ მაშინ გაიგო, რომ ერთობლივი საწარმო „ამირანის“ ხელმძღვანელი ამირან ქადაგიშვილიც კარგა ხანია იგივე პრობლემებზე ფიქრობდა და მუშაობდა... ერთმანეთს შეხვდნენ, მაშინ, ე. ი. შარშან, ვახტანგ სვანაძე 28 წლისა იყო.

ჩვენ „კავკასიის ბირჟის“ მუშაობის სტილზე ვსაუბრობთ.

— ამაზე მართლა ბევრი მიფიქრია, მაგრამ ხმამაღლა პირველად ვამბობ. მე, მაგალითად, რაც კი მუშაობის საშუალება მქონია, ასე ეფექტურად ჩემი შესაძლებლობები არასოდეს გამომიმჟღავნებია. ორი წლის წინათ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამდენს შევძლებდი. რამ უნდა გაიძულოს კაცი, რომ ასე იმუშაო, ალბათ მხოლოდ იმან, გულგრილად ვერ შეძლო ყურება, რომ შენს გვერდით ადამიანი დღესა და ღამეს ასწორებს. როდესაც ბატონი ამირანი პირველად ვნახე საქმეში, მხოლოდ ერთი აზრი გამიჩნდა — შევძლებ კი ასე მუშაობას? რაღა დაგიმალოთ და ძალიან მოვიწყინე. ესეც არ იყოს, ბატონი ამირანის ყოველი პროექტი იმდენად საინტერესოა, რომ მუშაობა უბრალოდ სიამოვნებას განიჭებს. მას უნიკალური ნიჭი აქვს, გარშემო ხალხი აამოძრაოს და საქმეში ჩააბას. ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გასწავლის მუშაობას. აი მე, მაგალითად, არ შემეძლო ფუნქციების დელეგირება, ვცდილობდი ყველაფერი ჩემი ხელით გამეკეთებინა. წელშიც ვწყდებოდი და საქმესაც აკლდებოდა. ასეთი სიტუაციიდან ორი გამოსავალი არსებობს: ან უნდა მიუთითო ადამიანს თვითონ რა გააკეთოს და სხვას რა დაავალოს, ან უბრალოდ იმდენი საქმე უნდა მისცე, რომ ყველაფრის გაკეთება ვერანაირად ვერ შეძლოს და იძულებული იყოს მხოლოდ მთავარი აიღოს თავის თავზე, დანარჩენი კი სხვას გადაუნაწილოს. ორივე ეს ხერხი თავის დროზე ეფექტურად იქნა გამოყენებული ჩემს მიმართ.

და კიდევ ერთი, თუმცა მე და ბატონი ამირანი უკვე კარგა ხანია ერთად ვმუშაობთ და სულ ცოტა ასი ღამე მაინც სამუშაოზე თეთრად გაგვითენებია, აქამდე ერთხელაც არ მიმიმართავს მისთვის მხოლოდ სახელით, „ბატონის“ გარეშე. ეს ჩემი უღრმესი პატივისცემის გამოხატულებაც არის მის მიმართ და ჩემდამი მისი დამოკიდებულების დანახვა და დაფასებაც.

არის თუ არა მზად „კავკასიის ბირჟა“ პრივატიზაციის პროცესის დაწყებასთან ერთად დაიწყოს ჯერ უძრავი ქონებით ვაჭრობა, ხოლო შემდეგ, როცა მოხდება საწარმოებისა და ორგანიზაციების სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება, განახორციელოს აქციებით ვაჭრობა. ეს უკვე საფონდო ბირჟა გახლავთ.

„კავკასიის ბირჟის“ სტრუქტურაში გამოიყო საფონდო კომიტეტი. ამ კომიტეტმა მოამზადა პროექტი და დოკუმენტაცია საფონდო ბირჟის ორგანიზებისათვის. მომზადდა პროფესიონალთა ჯგუფი, ამრიგად თუ საქართველოში არსებული საწარმოები და ორგანიზაციები მიიღებენ სააქციო საზოგადოების ფორმებს და ვაჭრობისათვის დაგროვდება აქციების გარკვეული მოცულობა, „კავკასიის ბირჟას“ ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ საფონდო ბირჟის როლიც შეასრულოს.

ბირჟა ყველა კომერსანტის დასაყრდენია, იმიტომ რომ არ არსებობს კომერციული ინფორმაციის მიღების უკეთესი საშუალება. იმისათვის, რომ კომერცია განვითარდეს, პროდუქცია შემოვიდეს, იყოს ვაჭრობა. იმისათვის, რომ შეიქმნას საქონლის სიჭარბე, უნდა არსებობდეს ელემენტარული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება ამ საქონლის შოვნა. სწორედ ამ ინფორმაციას იძლევა ბირჟა.

გასულ წელს, იმის გამო, რომ ექსტრემალურ პირობებში ბევრი ორგანიზაცია გაჩერდა, ხოლო „კავკასიის ბირჟა“ შეუჩერებლად და მონოტონურად მუშაობდა და იძლეოდა მუშაობის პრაქტიკულ შედეგებს, კომერსანტებს ბირჟისადმი ნდობა განუმტკიცდათ და ეტყობა ამის შედეგი იყო, რომ საქართველოში მეწარმეთათვის უკვე აუტანელ პირობებში მეწარმეებმა მიაკითხეს „კავკასიის ბირჟას“ და სთხოვეს სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს თავისუფალ მეწარმეთა კავშირის შექმნას. ბირჟამ მაშინვე აიღო თავის თავზე ეს უდიდესი საქმე, რადგან მხოლოდ ამგვარად იყო შესაძლებელი საქართველოში მეწარმეობის განვითარებისათვის კეთილსაიმედო ზონის შექმნა. ეს ნიშნავს — დარეგულირდეს დაბეგვრის სისტემა, გაირკვეს ლიცენზირების საკითხები და გადაიჭრას მრავალი, მრავალი პრობლემა, რომლებიც ასე უხვად გვაქვს დღეისათვის ბიზნესის სფეროში.

ამირან ქადაგიშვილი 41 წლისაა, იგი განათლებით ფიზიკოსია და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კვანტური რადიოფიზიკის სპეციალობით მუშაობდა კიდეც ფიზიკის ინსტიტუტში. ეს იყო ათი წლის წინათ და დღეს, „კავკასიის ბირჟის“ საბჭოს თავმჯდომარე ამირან ქადაგიშვილი. ოდესმე ისევ ფიზიკოსად მუშაობაზე ოცნებობს... მანამდე კი... მანამდე საქართველოს იგი ალბათ ბირჟაზე უფრო სჭირდება.

ამირან ქადაგიშვილი დღე-ღამეში 14 საათს მუშაობს. არ ვიცი როგორ იგუებს ამას მისი მეუღლე. მაგრამ ბირჟის კულუარებში, სადაც არაფერი დაიმალება, ამბობენ, რომ ამგვარი ერთსულოვნება, როგორც ქადაგიშვილების ოჯახში სუფევს, იშვიათია. ბატონი ამირანის მეუღლე ქიმიკოსია, მათ ორი ვაჟი ჰყავთ და როგორც ბატონი ამირანი ამბობს — მამა ფიზიკას ასწავლის შვილებს, დედა ქიმიას. მე ეჭვი მაქვს მხოლოდ, რომ ბავშვებს ქიმია აშკარად უკეთესად ეცოდინებათ.

— რატომ, რატომ... იცინის ბატონი ამირანი. მე ვცდილობ, რაც კი წუთი ჩამივარდება მათ მოვახმარო. ინგლისურად ვესაუბრები, კომპიუტერზე ვამუშავებ, ხანდახან ქალაქგარეთაც გამყავს და ავტომანქანის მართვას ვასწავლი.

ერთ რამეში კი ეჭვი ნამდვილად არ მეპარება. იმაში, რომ ძმებს ერთმანეთი ძალიან ეყვარებათ, რადგან წინ აქვთ უფროსი თაობის მაგალითი. ბატონი ფარნა ქადაგიშვილი არც მხოლოდ „კავკასიის ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა და არც მხოლოდ ძმა ბატონი ამირანისა. ისინი თანამოაზრეები არიან. თანამოაზრე ჰყავდათ მესამე ძმაც, რომელიც ორი წლის წინათ გამოაკლდათ. მაპატიოს მკითხველმა სწორხაზოვანი შედარება, მაგრამ ამ ძმების ცხოვრებაზე ფიქრისას, მე უნებურად საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ძმები ზუბალაშვილები მომაგონდა, რომელთაც ამდენი გააკეთეს საქართველოსთვის. ვინ იცის, იქნებ იმ კეთილ ტრადიციათა გაგრძელება ქადაგიშვილებმაც შეძლონ...

ეს წერილი „კავკასიის ბირჟას“ არ ეძღვნება. მისი სახით, დღევანდელ ქართველ მეწარმეთა გაცნობა ვცადე. ამიტომ ცოტა გრძელი საუბარი გამომივიდა, თანაც ასეთი აწეული ტონალობისა. რა ვქნა, ამ მძიმე და დუხჭირ ყოფაში ძალიან მომინდა ვინმეზე საქებარი სიტყვების დაწერა. მით უმეტეს ისეთ ადამიანებზე, ვისზეც ამგვარი სიტყვები ნაკლებად თქმულა და ვისაც, ჯერ კიდევ გუშინ ასეთი მონდომებით ვუწოდებდით საქმოსნებსა და კომბინატორებს.

არადა იქნებ, ეს ის ხალხია, ვისაც შეუძლია „თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე“...

პირადად მე, „კავკასიის ბირჟიდან“ წამოსულმა, უფრო იმედიანად შევხედე მომავალს. ძალიან მინდა ამ წერილის წაკითხვის შემდეგ იგივე გრძნობა თქვენც დაგეუფლოთ.

სურათზე: ამირან ქადაგიშვილი.
გურამ წიბახაშვილის ფოტო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ბრიუსელში ხელი მოაწერა დაახლოებით 2 მილიონ 800 ათასი ბელგიური ეკიუს სერტიფიკატებზე. იგი რესპუბლიკას უსასყიდლო დახმარების სახით გამოუყო ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ „კვების პროდუქტების განაწილების“ პროგრამის ფარგლებში.

ალექსანდრე ჩიკვაიძე მეთაურობდა საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციას, რომელიც საქმიან ვიზიტად ეწვია პარიზსა და ბრიუსელს.

პარიზში კი საქართველოს დელეგაცია მიიღო საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ფრანს ფანონზმა, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრმა კლოდ როშემ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის უფროსმა ჟაკ ბლომ. განიხილეს საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველომ შეიტანა განაცხადი საერთაშორისო სავალუტო ფონდში შესვლის თაობაზე, ნათქვამია ხუთშაბათს გამოქვეყნებულ მსოფლიოს ამ უდიდესი საფინანსო ორგანიზაციის პრესრელიზში. ამრიგად, საქართველო გახდა უკანასკნელი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათაგან, რომლებმაც განაცხადეს, რომ ფონდის სრულუფლებიანი წევრობა სურთ.

გუშინ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ყარაბაღის კრიზისის თაობაზე ესაუბრა თურქეთის პრემიერს სულეიმან დემირელს. თურქეთის მხარემ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ყარაბაღის კონფლიქტი შესაძლოა გასცდეს რეგიონის ფარგლებს.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს გაზეთ „პრავდის“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, თითქოს სომხეთის საზღვარზე თავმოყრილი იყოს თურქეთის ჯარები.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა ნავთობმომპოვებელ რესპუბლიკებს — ბაშკირეთს, თათრეთს, თურქმენეთს და აზერბაიჯანს მოუწოდა ნავთობის მიწოდება შეუწყვიტონ რუსეთის ფედერაციას. შეგახსენებთ, რომ ჩეჩნეთიც ერთ-ერთი ნავთობმომპოვებელი რესპუბლიკაა.

სოჭის მახლობლად კურორტ დაგომისში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანია რუსეთის მიერ ჩეჩნეთის რესპუბლიკის დიპლომატიური ცნობის მექანიზმის შემუშავება.

გუშინწინ გერმანიამ და ბელარუსეთმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს.

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა გასცა განკარგულება შეაჩერონ ბირთვული იარაღის გატანა უკრაინიდან რუსეთში. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ამ გადაწყვეტილების გამო დიდ შეშფოთებას გამოთქვამს.

შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა ქუვეითს მიჰყიდოს 2,5 მილიარდი დოლარის იარაღი, მათ შორის იქნება საზენიტო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „პეტრიოტი“.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები აპირებს ცნოს ყოფილი იუგოსლავიის ცალკეულ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა. შეგახსენებთ, რომ ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ვაშინგტონს ჯერ არ უცვნია ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობა.

იტარ-საკდესის ცნობით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა ედუარდ შევარდნაძეს მიულოცა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურად დანიშვნა. გენშერმა სურვილი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში გაუმჯობესდეს საქართველო-გერმანიის ურთიერთობა.

მადრიდში ორი დღის განმავლობაში შეხვედრებს გამართავენ სოციალისტური ორგანიზაციის პარტიების ხელმძღვანელები. დაახლოებით ოცი სოციალისტი ლიდერის შეხვედრას ხელმძღვანელობს გერმანიის ყოფილი კანცლერი ვილი ბრანდტი. ისინი თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული სოციალიზმის პრობლემებს განიხილავენ.

იტარ-საკდესის ცნობით მთიან ყარაბაღში გუშინ მიაღწიეს ცეცხლის დროებით შეწყვეტას სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეებს შორის, თქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა.

სააგენტო აჰუსტებს, რომ ს. დემირელმა ეს განცხადება გააკეთა თურქეთის მინისტრთა კაბინეტის ორ რიგგარეშე სხდომას შორის, რომლებზეც სასწრაფოდ განიხილეს მდგომარეობა მთიან ყარაბაღში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობამ გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ მოიხსნას ყველა დარჩენილი არმიის სადგური სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ქართული ღვინის პირველი საჯარო ვაჭრობა

საქართველოს ღვინის ბირჟა
Georgian wine Exchange 1992

გუშინ წერეთლის პროსპექტზე გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გაიმართა პრეზენტაციის ოფიციალური ცერემონია და პირველი საჯარო ვაჭრობა მოაწყო ქართული ღვინის ბირჟამ, რომელიც მნიშვნელობით მეორეა ევროპაში. ბირჟის დამფუძნებლები გახდნენ რესპუბლიკის უდიდესი დარგობრივი ფირმები „სამტრესტი“, „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ენისელი“, „სამება“ და სხვები.

სურათებზე: ქართული ღვინის ბირჟის პრეზენტაციის დროს.

ბონდო დადვაძისა და სერგო ედიშერაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,
ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, **ტელ.: 89-55-67, 89-11-64.**

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. „გავაზი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“
და საქინფორმის
სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს

ზუგდიდში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის

12 მარტს გამართულ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე განიხილეს ზუგდიდში შექმნილი ვითარების სტაბილიზაციის გადაუდებელი ღონისძიებანი.

სხდომაზე ზუგდიდის ადმინისტრაციული ორგანოების, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გააკეთეს ინფორმაცია ქალაქში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მათ, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ზუგდიდში ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები და კრიმინალური ელემენტები სისტემატურად ძაბავენ სიტუაციას — ხშირია მკვლელობები, აფეთქებები, ძარცვა, მოსახლეობის აწიოკება, დაშინება და ტერორი.

ამასთან სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, რომელთა ამოქმედება ხელს შეუწყობს ვითარების გაჯანსაღებას და შემდგომ მის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. საჭიროა გამოიძებნოს პოლიტიკური საშუალებები, იქნება ეს მხარეთა დელეგაციების შეხვედრები, კონტაქტები მოსახლეობის ფართო მასებთან თუ სახალხო დიპლომატიის სხვა გზები, რაც მიგვიყვანს დაძაბულობის შენელებამდე, შემდეგ კი მის სრულ გაქრობამდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეგიონში მცხოვრებთა დიდი ნაწილი უაღრესად დაინტერესებულია ვითარების სტაბილიზაციით, დადებითად ეკიდება რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს. მოსახლეობა ყოველივე ამას ესწრაფვის, მაგრამ მოკლებულია ამ საშუალებას, რადგან ტერორიზებულია ექს-პრეზიდენტის მომხრეებისა და დესტრუქციული ძალების მიერ.

სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

საჭიროა გონივრული დიალოგი

ახლა ზუგდიდს და, ვინ იცის, მთლიანად საქართველოს მხოლოდ დიალოგი და გამიზნული მოქმედება სჭირდება. სწორედ დიალოგის დეფიციტი და აქ გამეფებული ძალადობა გახლდათ იმ აფეთქების ძირითადი დეტონატორი, რომლის სამწუხარო შედეგი სახეზეა.

ზუგდიდი კვლავ მოწყვეტილია გარემოს. ავტომაგისტრალი რუხისა და ხობის მიმართულებებით ჩაკეტილია.

როგორც ცნობილია, ზუგდიდელებმა განაიარაღეს და დროებით დააკავეს ქუთაისის ბატალიონის მებრძოლები: მათგან ოთხი უპირობოდ მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

12 მარტს, დილის საათებში, სოფელ რუხთან დაიშვა შვეულმფრენი. მის მგზავრებსა და ადგილობრივ შეიარაღებულ პირებს შორის ატყდა სროლა. სამწუხაროდ, არიან დაღუპულებიც და დაჭრილებიც. წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ შვეულმფრენში მყოფნი ზუგდიდელებმა ტყვედ წაასხეს.

...აზრთა სხვადასხვაობა ქალაქ ზუგდიდსა და მთლიანად რაიონში შეიძლება იყოს, მაგრამ აქ ერთში ყველა კატეგორიულია: რაიონი და მისი მისადგომები დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ „მხედრიონისა“ და გვარდიის შენაერთებმა.

მოსახლეობა თანახმაა მოხდეს დიალოგი და გვარდიისა და „მხედრიონის“ ადგილი მილიციამ და კურსანტებმა დაიკავონ. საერთოდ, ზუგდიდელთა უმრავლესობა გონივრული დიალოგის მომხრეა.

მაკა კილაძე,
ომარ ჩიტაია

საქართველოს ეროვნული კონგრესის სხდომა

1992 წლის 12 მარტს საზოგადოება „ცოდნის“ დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესის მორიგი სხდომა, რომელზეც განხილულ და შეფასებულ იქნა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, რესპუბლიკაში შექმნილი საერთო მდგომარეობა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შემდგომ გართულებას შესაძლოა მოჰყვეს არასასურველი შედეგები როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, აღინიშნა ეროვნული კონგრესის სხდომაზე, განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფაქტობრივი ამოქმედების მიუხედავად, იგნორირებულია მისი ძირითადი დებულებები, არ წარმოებს მუშაობა სათანადო ნორმატიული აქტების გამოსაცემად, ყოვნდება იმ კანონთა (მათ შორის, მოქალაქეობის კანონისაც) ამოქმედება, რომლებიც მიღებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, გაჩაღებულია კამპანია 1921 წლის კონსტიტუციის დისკრედიტაციის მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ამასთან ერთად, ყოვლად გაუმართლებელია და აღშფოთებას იწვევს იმის მცდელობა, რომ საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველო ჩართონ როგორც „სნგ“-ს წევრი ქვეყანა, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენელთა სტატუსი და მონაწილეობა საერთაშორისო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური თუ სპორტული ხასიათის ღონისძიებებში.

აღნიშნულ და სხვა რიგ მწვავე საკითხებზე ნათელის მოსაფენად საქართველოს ეროვნული კონგრესის საგანგებო სესიაზე სამშაბათს, 17 მარტს, 11 საათზე, საზოგადოება „ცოდნის“ დარბაზში მოწვეულნი არიან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრები.

კონგრესის პრეს-ცენტრი.

კომენდატურის ცნობა

— **წუხანდელი,** მარტის ღამე მშვიდი და უშფოთველი იყო თბილისელებისათვის, — ამ იმედიანი განცხადებით დაიწყო თავისი საუბარი ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტმა **ბელა ლანჩავამ** საქინფორმის კორესპონდენტთან. — ასეთი სიწყნარე ქალაქს დიდი ხანია არ ახსოვს. არ ყოფილა არავითარი ექსცესი, თავდასხმისა და ყაჩაღობის ფაქტები, მთელი ღამის განმავლობაში კონტროლი ეწეოდა საზოგადოებრივ წესრიგს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ ჩემს თანამოქალაქეებს: დავიცვათ წესრიგი, ვიყოთ მომთმენნი, პატივი ვცეთ კანონს, აღვადგინოთ ჩვენი დედაქალაქის საუკეთესო ტრადიციები და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. თუ ასეთ სიტუაციას, როგორიც ამ ღამეს იყო, შევინარჩუნებთ, თბილისს ისევ დაუბრუნდება სიმშვიდე და ხალისი, რაც ასე დაგვიძვირდა ამ ბოლო დროს.

მაგრამ, სამწუხაროდ, სიტუაცია მთლად განმუხტული არ არის. მაინც მოხდა ერთი სავალალო ფაქტი. ცეცხლი გაუჩნდა „ზერიკონს“. ხანძრის მიზეზებს იძიებენ. იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ არავითარი ბოროტი ზრახვა ამ საქმეში არ ურევია.

გულიკო მარკოზაშვილი.

ვითარება სენაკში

აქ გრძელდება მიტინგები. ადრინდელ მოთხოვნებს ახალიც დაემატა: მოითხოვენ გამგებლის და მილიციის უფროსის გადადგომას, რომლებმაც, მოსახლეობის განმარტებით, ვერ უზრუნველყვეს მდგომარეობის სტაბილიზაცია, ვერ დაიცვეს მოსახლეობა ყაჩაღობა-ბანდიტიზმისგან.

სენაკის გამგებელმა შალვა კეკელიამ საქინფორმის კორესპონდენტებს უთხრა, რომ თუ მისი პიროვნება და საქმიანობა რაიონში ახალ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, იგი მზად არის გადადგეს და ეს დაუყოვნებლივ აცნობოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

ფოთი: სტამბა, „ვარიანტი“, დიუმა

შეიქმნა მიკრო სტამბა

აქ შეიქმნა მცირე პოლიგრაფიული საწარმო. იგი აღჭურვილია ოფსეტური ტექნიკით და შეუფერხებლად ამარაგებს როგორც ქალაქის, ისე მისი მეზობელი რაიონების შეკვეთებს. აქ იბეჭდება მცირე მოცულობის მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა. საწარმო რენტაბელურია, მას მხოლოდ ექვსი მუშაკი ემსახურება.

უახლოეს ხანში სტამბა კომპიუტერულ საგამომცემლო სისტემაზე გადავა. რაც ერთიორად გაზრდის საწარმოს ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერებას.

საშუამდგომლო ფირმა „ვარიანტი“

ბინების გაცვლაში ყიდვა-გაყიდვაში, დაქავშირებული ბინების დაქირავება-გაქირავებაში ფოთელებს დიდად დაეხმარება საშუამდგომლო ფირმა „ვარიანტი“. იგი თავად აგროვებს სათანადო საბუთებს და ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მეშვეობით, ხელმძღვანელ ორგანოში უკანონებს გაცვლილ, ნაყიდ თუ გაქირავებული ბინის მფლობელობაზე უფლებამოსილებას. კომუნალური მეურნეობის განყოფილება გასცემს შესაბამის ორდერებს.

დიუმა კოლხეთში

კაპიტალური რემონტის შემდეგ კვლავ გაუღო კარი განახლებულმა მუზეუმმა დამთვალიერებლებს. დარბაზებში გამოფენილია კოლხეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ექსპონატები. მუზეუმის ძვირფასი რელიქვიაა კოლხეთის ისტორიული ძეგლების სქემატური რუკა.

მუზეუმში თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი თურქთა ბატონობიდან ქალაქის გათავისუფლების, ალექსანდრე დიუმას დასწრებით ფოთის ქალაქად გამოცხადების, ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის წლებში ქალაქის თვითმმართველობის მიერ გაწეული მუშაობის, კაპიტალური ნავსადგურის, კათედრალური ტაძრის, ხიდების, გიმნაზიების, ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის ამსახველი ფოტოები და სხვა მასალები.

დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს საქართველოში ცნობილი ინგლისელი მოგზაურისა და მეცნიერის ტიმ სევერინის, ქ. ფოთში წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის გამართვის, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების ამსახველი ფოტოექსპოზიციები.

იასონ დოლბაია,

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ — საქინფორმის დირექტორად დაინიშნა გურამ ვლადიმერის ძე ხარაიძე.

პოზიცია

განა გაზეთი ანგარიშსწორების საშუალებაა?!

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს და, მით უმეტეს, არ უნდა იბეჭდებოდეს საპოლემიკო წერილები

მაშინ ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის **დავით ბიწაძის** ერთი მორიგი პუბლიკაცია „ხაზინის ქურდები“, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 თებერვლის ნომერში რომ დაიბეჭდა, ამოდენა აურზაურს გამოიწვევდა. მალევე, 14 თებერვალს, გაზეთ „ერში“ გამოქვეყნდა ფილოსოფოს გერმანე ფაცაციას წერილი „უდანაშაულობის პრეზუმფცია, თუ დანაშაულის პრეზენტაცია?“, რომელშიც ავტორი ჟურნალისტს ბრალს სდებს, არც მეტი, არც ნაკლები, იმაში, თუ... სიყრმის მეგობრები ტარიელ გელანტია და გურამ აბსანძე რად გამილანძღეო. ამას მოჰყვა კვლავ დ. ბიწაძის წერილი გაზეთ „განათლებაში“ — „ფაცაციას შეიძლება შევუნდოთ, მის პოზიციას — არასოდეს!“, რომელშიც ავტორი თავის გარკვეულ პოზიციას ერთხელ კიდევ ნათელყოფდა.

მოდავეთა შორის ბოლო სიტყვა მართლისაო, ეტყობა ამ პრინციპის ნიადაგზე ბატონმა გ. ფაცაციამ გადაწყვიტა ეს კიდევ ერთი საშუალება ხელიდან არ გაეშვა და ისევ „ერში“ (28.11) დაბეჭდა სტატია, რომლის სათაურის გამეორებისათვისაც კი მკითხველს ბოდიშს ვუხდით — „ბატონო ბიწაძევ, უბიწოდ ჩაისახეთ, თუ მამაკაცის გცხიათ რაიმე?“ იძულებითი პასუხი დავით ბიწაძეს — მიწერილი აქვს ქვესათაურად.

პირველ ყოვლისა, გაუგებარია, ვინ ან რამ აიძულა ბატონი გ. ფაცაცია ჯერ ადრე, ან, მით უმეტეს, ახლა კვლავ გამოხმაურებოდა დ. ბიწაძეს ამ, სწორედ რომ, საკუთარი და არა ადრესატის (როგორც, რასაკვირველია, თავად ეგონა) შეურაცხმყოფელი პუბლიკაციით.

მოგეხსენებათ, პოლემიკას თავისი წესები აქვს. მოწინააღმდეგეს ისე უნდა შეედავო, რომ პიროვნული ღირსება არ შეუბღალო. ეს პოლემიკის ანბანაა, მაგრამ ეს რომ შეძლო, თვითონაც უნდა გქონდეს ღირსების გრძნობა. მეორეც არის: კრიტიკა თვითმიზნად რომ იქცევა, საქმე წასულია, მას მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როდესაც უთქმელობით საქმე დაზარალდება, სიმართლე დაიჩრდილება.

ბატონ გერმანე ფაცაციას აზრით კი, რომელი საქმე წაადგებოდა, მას რომ ხმა არ ამოეღო და ამდენი უმიზნო აურზაური არ გამოეწვია?

საქმე ის გახლავთ, რომ „ხაზინის ქურდები“ შეეხება რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ყოფილი ხელისუფლების მიერ უკანონოდ წაღებული სოლიდური ვალუტის უკვე საკმაოდ გახმაურებულ ამბავს. სხვათა შორის, ეს ამბავიც და მასში მაშინდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრის გ. აბსანძისა და რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტ. გელანტიას მონაწილეობის ფაქტი თვით რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბატონმა ვახტანგ რაზმაძემაც დაადასტურა პრესკონფერენციაზე, ბატონმა გ. ფაცაციამ კი, ისე, რომ საგაზეთო პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები არაფრით უარუყვია, მაინცდამაინც პიროვნულად ჟურნალისტი ამოიღო თვალში, დაადანაშაულა და მისი საქციელი დანაშაულის პრეზენტაციად მონათლა. იკითხავთ, რა შუაში იყო ამ დავაში ფილოსოფოსი გ. ფაცაცია და რას იდავებოდაო ჟურნალისტს? რა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აბსანძე-გელანტია მისი სიყრმის მეგობრები ყოფილან (?!). ეს არის და ეს მთელი ამოდენა პოლემიკის ალფა და ომეგა.

მარტივი ფილოსოფიაა: თუ შენმა მეგობარმა სამარცხვინო დანაშაული ჩაიდინა (უფრო მძიმე და უფრო სამარცხვინო რა უნდა იყოს, ვიდრე საკუთარი ერის ძარცვისთვის ხელისშეწყობაა უკიდურეს გაჭირვების ჟამს), შენ ისღა დაგრჩენია, მის ნაცვლად მოინანიო და ღმერთს ევედრო შეუნდოს! თავად კი სირცხვილით მოიბუზო (დღემდე აგრე იყო ყოველ შემთხვევაში) და არა სხვას მოუღერო მუშტი, რად გამოამზეურე მისი სისაძაგლეო.

ჟურნალისტ დ. ბიწაძისადმი (და არა მის პუბლიკაციისადმი) წაყენებული ბრალდება იმდენად აბსურდულია, რომ მკითხველს, შესაძლოა, ეჭვი შეეპაროს, რომ ყველაფერს ბოლომდე არ ვამბობთ. ლანძღვა კი მთლიანად მიუტევებელია. საკუთარი თვალით იხილეთ, ბატონებო. გაზეთის ამ ნომრებისთვის ავტოდაფე არავის მოუწყვია. შთაბეჭდილება, გვერწმუნეთ, დიდი იქნება.

და ბოლოს, ორიოდე მეგობრული რჩევა გაზეთ „ერის“ ხელმძღვანელობას. ქაღალდის საყოველთაო დეფიციტის პირობებში საგაზეთო ფართობის დათმობა და არავისთვის და არაფრისთვის სიკეთის მომტანი, უფრო მეტიც, პიროვნების ღირსების შემლახველი პუბლიკაციებისთვის, არაპროფესიული და გაუმართლებელია. რაც შეეხება სათაურს, რომლის გამეორებისათვის ჩვენი გაზეთის მკითხველებს ბოდიში მოვუხადეთ, მარტო გაუმართლებელი კი არა, სამარცხვინოც გახლავთ. ასეთ „მარგალიტებს“, სამწუხაროდ, ტექსტშიც საკმაოდ აბნევს უსაფუძვლოდ გაგულისებული ავტორი. ჩანს, „ერის“ მესვეურებს იმდენად მოსწონებიათ სათაური, რომ პირველ გვერდზე ანონსადაც კი გამოუტანიათ. ამ ფონზე სიტყვა როგორ დავძრათ პროფესიულ ეთიკასა და კოლეგიალურობის უფრო დელიკატურ ფენომენზე, რომელიც, სამწუხაროდ, აშკარად ღალატობთ ჩვენს კოლეგებს „ერის“ რედაქციიდან. პირდაპირი ადრესატის გარდა, მხედველობაში გვაქვს გაზეთ „განათლების“ მთავარი რედაქტორის მიმართ უხამსი და პროვინციული გამოხდომაც.

გასაკვირია ისიც, რომ გაზეთმა, რომელსაც „ერი“ ჰქვია, მაინცდამაინც ხაზინის ქურდებისა და ერის მძარცველობის გამოქომაგებით დაიწყო უდანაშაულობის პრეზუმფციის თაობაზე პუბლიკაციების გამოქვეყნება.

დემოკრატია და პრესის თავისუფლება დიდ მონაპოვართან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაც არის ჩვენი პროფესიისთვის, იგი ყველაფრის უფლება როდია.

„საქართველოს რესპუბლიკა“.

ხელოვნება

...და ისევ შექსპირი



ფინეთის თეატრალურმა სამყარომ ქართული თეატრი უშუალოდ „მეფე ლირით“ გაიცნო. ეს იყო სამი წლის წინათ — ჰელსინკის საერთაშორისო ფესტივალზე. ფინურმა პრესამ ამ გაცნობას ასეთი შეფასება მისცა: „რუსთაველის თეატრის სტუმრობა ჰელსინკის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე უეჭველად არის პიკი, მიუხედავად იმისა თუ ვინ ჩამოვა მის შემდგომ აქ“. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ მაშინ რუსთაველის თეატრს, ერთადერთს ათი ქვეყნიდან ჩამოსულ თეატრთა შორის ჰელსინკის ფესტივალის ყველაზე საპატიო სცენა — ფინეთის ეროვნული თეატრის სცენა დაუთმეს. ფინეთის ეროვნული თეატრის ხელმძღვანელობამ ამის შემდგომ არაერთხელ სთხოვა რობერტ სტურუას სპექტაკლის დადგმა. ახლახან აღსრულდა ფინელთა სურვილი, მათი უპირველესი თეატრის სცენაზე ბატონმა რობერტ სტურუამ განახორციელა შექსპირის „შეცდომათა კომედია“. სპექტაკლის პრემიერა თებერვლის ბოლოს გაიმართა. ფინელი მაყურებლისა და თეატრალური კრიტიკოსების მაღალი შეფასება დაიმსახურა ქართული სამეულის — რობერტ სტურუას, გოგი ალექსი-მესხიშვილისა და გია ყანჩელის ნამუშევარმა.

ჰელსინკის პრემიერის შემდეგ ბატონი რობერტ სტურუა ლონდონს გაემგზავრება „ჰამლეტის“ თაობაზე... მან აგვისტო-სექტემბერში „თეატრ-სტუდიოს“ სცენაზე შექსპირის ეს პიესა უნდა განახორციელოს.

ჰელსინკიდან დაბრუნებისთანავე შევხვდი „შეცდომათა კომედიის“ სცენოგრაფიის ავტორს ბატონ გოგი ალექსი-მესხიშვილს. იგი ფინეთის ეროვნულ თეატრში დადგმული სპექტაკლის გარშემო გვესაუბრება:

„რობერტ სტურუას ბოლო ნამუშევრის წარმატება, ჩემი აზრით, „კავკასიური ცარცის წრის“, „რიჩარდ III“-ის და „მეფე ლირის“ ტოლფასია, მასში ბევრი მონაპოვარი და მიღწევაა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ სპექტაკლს დიდი გამოხმაურება მოჰყვება მსოფლიოს უმაღლეს თეატრალურ წრეებში. ფინეთის ეროვნული თეატრი თავისი ყურადღებით ბევრს არ ანებივრებს, უფრო ადრე მათ სპექტაკლების დასადგმელად მიიწვიეს ოლეგ ლუბიმოვი და კრეიჩა. ახლა იქ მოწვეულია ცნობილი რეჟისორი ხანუშკევიჩი. ფინელებმა ქართულ ჯგუფს სამომავლოდ შემოგვთავაზეს დავდგათ ის, რასაც ვისურვებთ. — ყურადღებიანი ხალხია ფინელები, ჩვენგან განსხვავებით ისინი თითქმის არ ლაპარაკობენ, მაგრამ საოცრად გულისხმიერნი არიან. ჩვენი თეატრის მსახიობებისათვის გრიმებიც კი გამომატანეს საჩუქრად.

ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა ლიანა ისაკაძის კონცერტი, იგი ევროპაში ძალიან პოპულარულია. ამჯერად მუსიკოსი სიბელიუსის აკადემიის რექტორის თხოვნით იყო ჩამოსული სოლო კონცერტებით, ბახისა და შტრაუსის ნაწარმოებებს ასრულებდა. დავესწარით ლიანას კონცერტს. მას ყოველი წვრილმანი აინტერესებდა საქართველოს ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ. მართალია, მას ჩვენთან დაუმსახურებლად ატკინეს გული, მაგრამ დიდი სურვილი აქვს ჩამოვიდეს თბილისში და დაუკრას თავის ორკესტრთან ერთად.

ჰელსინკში აქტიურ დეზინფორმაციას ეწევა რენო სირაძე, რომელიც იქ ცხოვრობს, ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში, პრესკონფერენცია გამართა მედეა თუშმალიშვილმა, მათი „მოღვაწეობა“ სახელს უტეხს საქართველოს. წარმოიდგინეთ, ჩვენ სამი თვე დავყავით ჰელსინკში და თუკი ასეთი პატრიოტები არიან საქართველოსი, ერთხელ მაინც ხომ უნდა დაინტერესებულიყვნენ და შემოეხედათ თეატრში.

ბატონმა გოგიმ გადმოშალა ფინური და შვედური პრესა, გამოხმაურება „შეცდომათა კომედიის“ შესახებ. ამჯერად გთავაზობთ ფრაგმენტებს გაზეთ „ჰელსინკინ სანომატიდან“ (21.02.92).

„სტურუამ ნაციონალური თეატრის აქტიორებს შთაბერა ახალი სული და თამაშის სიხარული...

განა შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფინელი მსახიობები ასე გრაციოზულად ამოძრავებდნენ სცენაზე, ამ მოძრაობაში შეიგრძნობა ქართული გავლენა და ეს ხდება. მსუბუქად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე...

რეჟისორი და მისი მხატვარი ალექსი-მესხიშვილი ძალზე ელასტიურად იყენებენ დიდ სცენას, სტურუა შესანიშნავად ფლობს სცენაზე ეფექტური გამოსვლის ხელოვნებას. თეთრ, სარკეებიან სივრცეში მსახიობები ყველა მხრიდან შედიან, თითქოს მათ ცენტრისკენული ძალები შემოისვრის სარკისებური კარებიდან...

სპექტაკლზე საუბარი შეუძლებელია, თუ არ ვილაპარაკებთ მის ძალიან მნიშვნელოვან ესთეტიკურ ელემენტზე — ესაა კოსტიუმები. ქართულ-აღმოსავლური კოსტიუმ-ფანტაზიები განსაცვიფრებლად ლამაზია,

საინტერესოა სად, რომელ ქვეყანაში ნახა მხატვარმა ასეთი ფერები, ასეთი შეხამება. ვერც კი გავიხსენებთ ბოლოს როდის გვინახავს ნაციონალურ თეატრში ასე სტილისტურად შესრულებული, თავსაბურავიდან ფეხსაცმელამდე ასე გააზრებული კოსტიუმები.

მთავარი კი სტურუას სპექტაკლში ის არის, რომ იგი შექსპირის ტექსტს კითხულობს როგორც წინასწარმეტყველების უდიდეს წიგნს — მსოფლიოს გზა აებნა, წონასწორობა დაიკარგა.

ყანჩელის მუსიკა თან ახლავს მოქმედებას სცენაზე, ეს იმ კატეგორიის მუსიკაა, რომელიც ცოცხლობს სპექტაკლთან ერთად, და ეს ფაქტი აბსოლუტურად არ ამცირებს მის მნიშვნელობას. ეს მუსიკა შესანიშნავად ასრულებს თავის ამოცანას — რიტმი შეუქმნას სპექტაკლს.

სპექტაკლის ცქერისას მაყურებლის თავში გაიელვებს ხოლმე აზრი ნაციონალურ საკითხზე ყოფილ საბჭოთა კავშირში და საქართველოში სამოქალაქო ომის შესახებ. „შეცდომათა კომედია“ სავსეა ფოკუსებითა და ჯადოსნურობით...

სტურუასთვის პიესის სიუჟეტური მსვლელობა მარტო კომიკური კი არ არის, არამედ საშინელიც და შემზარავიც“...

ამ დღეებში რობერტ სტურუა თბილისს დაბრუნდება და თანამოაზრეებთან ერთად რუსთაველის თეატრში მუშაობას შეუდგება ესპანელი დრამატურგის კალდერონის პიესაზე „ცხოვრება სიზმარია“, რომელსაც აფინანსებს ესპანეთი და ნაჩვენები იქნება სევილიის მსოფლიო თეატრალურ გამოფენაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენაზე ივლისში მსოფლიოს მხოლოდ ექვსი გამოჩენილი რეჟისორის ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათებზე: „შეცდომათა კომედიის“ აფიშა; სცენა სპექტაკლიდან.

კვირის კრიმინალური ქრონიკა

განვლილ კვირაში რესპუბლიკაში რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 156 დანაშაული, მოხდა 8 მკვლელობა, 16 ყაჩაღობა, 48 სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, 40 ავტოავარიაში დაიღუპა 21 კაცი.

ყაჩაღები თავს ესხმიან და... იღუპებიან

ბოლო 7 დღეში მომხდარი 16 ყაჩაღობიდან 6 „ცხელ კვალზე“ გაიხსნა.

6 მარტს, ღამით, ბათუმში ხუსეინ ნემსაძის ბინას თავს დაესხა 7 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და... სწორედ ამ დროს მოუსწრეს ბათუმის მილიციის მუშაკებმა, იქვე დააკავეს ერთერთი ბოროტმოქმედი — ადრე ნასამართლევი დიასამიძე. დანარჩენებმაც შორს წასვლა ვერ მოასწრეს, მათაც გადაუკეტეს გზა. ადრე ნასამართლევი უმუშევრები გია კენჭაძე, ნოდარ ჯაფარიძე, ლევან ინაიშვილი და ბათუმის უსინათლოთა საზოგადოების სამნეო ნაწილის გამგე თამაზ ხოზრევანიძე, რომლის ავტომანქანაშიც ეწყო ყაჩაღების „აღჭურვილობა“ — ორი ნიღაბი, ძალაყანი, გაზის პისტოლეტი და ორი ნაჯახი.

4 მარტს ღამის ორ საათზე გორის რაიონის სოფელ კარალეთში მამუკა ბიბილაშვილის სახლის კარები დაცხრილეს ბოროტმოქმედებმა, ბიბილაშვილმაც აიღო თავისი რეგისტრირებული სანადირო თოფი და ორი თავდამსხმელი იქვე მიაწვინა, მესამემ გაქცევით უშველა თავს. შემთხვევის ადგილიდან მილიციამ ამოიღო ყაჩაღების კუთვნილი ავტომატი, კარაბინი და ორლულიანი თოფი. დადგინდა მოკლულთა ვინაობაც, ისინი აღმოჩნდნენ სოფელ ფლავის მცხოვრებნი ივანე ეცადაშვილი და კობა გიუნაშვილი.

ხდება ისიც, რომ აზარტში შესული ყაჩაღები დაზარალებულისათვის გამიზნულ ტყვიას თავიანთ „თანამებრძოლებს“ ახვედრებენ. ასე მოკლეს ზუგდიდში გოგი კიტია, ქუთაისში კი — ბადრი ინაკავაძე.

ფხიზლად, მოზარდია!

ათასი უბედურება გვჭირს. მაგრამ, ალბათ, უპირველესი — არასრულწლოვანთა დანაშაულია. მარტო გასულ კვირაში მილიციამ საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ათამდე ჯგუფი დააკავა ქურდობისა და ძარცვისათვის. მათ გვარებს ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველი გადაცდომა, მწარე გაკვეთილი იქნება მათთვის და საბოლოოდ შეაქცევენ ზურგს მრუდე გზას. მაგრამ მაინც შევახსენებთ თბილისის 43-ე, 56-ე, 117-ე, სოფელ დიღმის საშუალო სკოლების, თბილისის 120-ე და ქობულეთის 99-ე პროფსასწავლებლების დირექციებს, პედაგოგებს და მშობელთა კოლექტივებს, რომ მეტი გულისყური უნდა გამოიჩინონ თავიანთი აღსაზრდელებისადმი, რადგან სკოლიდან ექვსი კომპიუტერის მოპარვა, საკოლმეურნეო ბაზარში მოქალაქის გაძარცვა და ავტომანქანის გატაცება სრულიადაც არ არის ბავშური ონავრობა.

ზოგიერთი სტუდენტი კი, ჩვენდა სავალალოდ, უკვე პროფესიონალ რეციდივისტებთან ერთად გადის „საქმეზე“. მარტო ამ ბოლო ორ კვირაში, 12 სტუდენტმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

2 მარტს ღამით ცაგერში მოქალაქე ლევან ჩიქოვანის სახლს თავს დაესხა ოთხი ბოროტმოქმედი. იარაღის მუქარით მათ გაიტაცეს ოქროულობა, 4300 მანეთი ფული და სხვა ნივთები.

მილიციამ მეორე დღესვე დააკავა ოთხივე ბოროტმოქმედი, რომელთაგან, ორი სტუდენტი აღმოჩნდა. ერთი კი მოსწავლე. ცაგერის მკვიდრებს — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს მერაბ ბერუჩაშვილს, სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს თამაზ კალანდაძეს, ადგილობრივი საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეს თენგიზ ფრუიძეს ჩამოართვეს ნაძარცვი.

9 მარტს თბილისის ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მივიდა რადიოკლუბის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ კუპუხიძე, რომელმაც განაცხადა, რომ სურდა შეეძინა 440 ათასი მანეთის 5 ათასი ამერიკული დოლარი. ამ თანხის გაცვლა უნდა მომხდარიყო მისი ნაცნობების — ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიხეილ ტალიაშვილისა და თემურ ქაჯაიას მეშვეობით. კუპუხიძემ ისიც თქვა, რომ ავანსის სახით მათ წინასწარ მისცა 100 ათასი მანეთი, დანარჩენი 350 ათასი მანეთი კი უნდა გადაეცა მეორე დღეს.

როცა იგი თავისი ავტომანქანით მივიდა დათქმულ ადგილზე, მას სამმა შეიარაღებულმა პირმა წაართვა აღნიშნული თანხა.

ვაკის რაიონის მილიციის პირველი ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს მ. ტალიაშვილი და თ. ქაჯაია, რომლებმაც აღიარეს, რომ თავდასხმა მათ მიერ იყო მოწყობილი. მილიცია ეძებს დანარჩენ ბოროტმოქმედებს იარაღის ამოღების მიზნით.

ვალერიან გოგოლაშვილი.

ბურთი და მოედანი

მობრძანდება „მისი უდიდებულესობა“ ფეხბურთი!

ფეხბურთი მართლაც საოცრებაა, არავის ეგონა, ჩატყვიარ, დასახიჩრებულ საქართველოში ვინმეს თუ კიდევ შეეძლო ბურთის დადევნებოდა, უმრავლესობა მესამე ეროვნული ჩემპიონატის განახლებასაც ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ ციურიხიდან მიღებულმა ცნობამ ყველაფერი წალმა შეატრიალა, და მიუხედავად ასე უსიხარულოდ გატარებული ზამთრისა, საქართველოში გაზაფხულთან ერთად შემობრძანდება „მისი უდიდებულესობა“ ფეხბურთი.

ჩემპიონატის განახლების წინ ორიოდე სიტყვის თქმა ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარეს თენგიზ სულაქველიძეს.

— უპირველესად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ და ყველას, ვინც გაახარა ფიფას შტაბ-ბინიდან გამოგზავნილმა ცნობამ.

სიმართლე გითხრათ, დეკემბერ-იანვრის მძიმე დღეების შემდეგ ჩვენც გვიჭირდა იმის გადაწყვეტა, მარტის თვეში გაგვეახლებინა თუ



არა ჩემპიონატი. ვაითუ, ნერვებდაწყვეტილი ხალხისგან უკურეაქცია მიგვეღო, ემოციები ფეხბურთიდან პოლიტიკაში გადაზრდილიყო, მაგრამ ვფიქრობ, მაინც სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, საერთაშორისო ფედერაციიდან მოსულმა დეპეშამ კი ყველანი ოპტიმისტურად განგვაწყო.

პოლიტიკურმა სიტუაციამ თითოეულ ჩვენგანზე იმოქმედა. ალბათ, გაკვეთილად უნდა გამოვიყენოთ განვლილი დღეები. სტადიონზე მოსულებმა მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულით უნდა ვისულდგმულოთ და, ალბათ, აღარ განმეორდება ის სამარცხვინო ფაქტები, საშემოდგომო ჩემპიონატს შავ ლაქებად რომ აჩნია. რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციას, იგი ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ საფეხბურთო მარათონი უხინჯოდ გაგრძელდეს.

● გვჯერა გულშემატკივრების კეთილგონიერებისა და გულწრფელად ვულოცავთ მათ მესამე ეროვნული ჩემპიონატის განახლებას, რომელიც უამინდობის გამო გადაიდო და 16 მარტს აიღებს სტარტს.

ინგა ჩახვაშვილი.

დადგება ის დროც...

გულშემატკივარი — განცდების ნაკრები.

წარმატება — სიხარული, სიამაყე! მარცხი — დარდი, ხანდახან სიმწარე! ნაკლი — წუხილი, ვისთვისაც გული გტკივა.

ჩვენი სიგლახით და რესპუბლიკის სტადიონზე მომხდარი არეულობებით კიდევ ერთი განცდაც გვერგო — სირცხვილი!

იწყება საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე. თუ იგივე განმეორდა, კიდევ ერთხელ გამოვკრავთ ფეხს ქართული ფეხბურთის წინსვლას.

ზაფხულში ფიფა საბოლოოდ იტყვის თავის სიტყვას. გულშემატკივრებმა ფეხბურთელებთან ერთად უნდა შევაბიჯოთ დიდ ფეხბურთში. ოღონდ სირცხვილის გარეშე.

ფეხბურთელები, ნოდარ ახალკაცი და სპეციალისტები უკეთ მოუვლიან შინაურ სამზარეულოს.

ჩვენ?

ჩვენ კი ვუქომაგოთ, ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ, თუნდაც მწვავედ (აბა, უკამათოდ ფეხბურთი რის ფეხბურთია), და ამით ამოვუდგეთ მხარში ქართულ ფეხბურთს.

დღეს ქართული გუნდები დგანან ერთმანეთის პირისპირ, ხვალ — სხვებს დაუპირისპირდებიან.

დადგება დრო, რომელიმე სტადიონზე ერთად მოვიყრით თავს. ამიტომ ერთმანეთის არ უნდა გვრცხვენოდეს, რადგან (გულზე ხელი დავიდოთ) მეტოქეს თუ დავჯაბნით ყველას ერთხმად აღმოგვხვდება „სა-ქარ-თვე-ლო“!!!

ვახტანგ ნადირაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 22-12-87; მორიგეების რედაქცია 99-73-24. [illegible] ქ. № 29. ინდექსი 64434.